

1957/3

№ 9

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ს. ი. ბ. გ. ე. ლ.

№ 9



# პ ი ო ნ ე რ ი

საბავშვო-სახელმწიფო ცენტრალური კომიტეტის  
შოკვალთვიური საბავშვო ჟურნალი


№ 9 სექტემბერი 1951

საბლიტგამი

წელიწადი XXV



П И О Н Е Р И Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



ასწავლთ ქული. სისაბრელით შოკვალთნი მისწავლეში პირველ სეფ-

უბის ვაქთა VII საწავლთ სკოლა, პირველი გაკვეთილი მე-6 კლას-  
სსრ დამსახურებულა მასწავლებელა, ლენინის ორდენისანი თლია  
ქიშვილი აცარებს გაკვეთილს გოტგრაფიში.

# ბისურვებთ, ბავშვებო, სწავლაში წარჩინებას



კვლავ აწკრიალდა სკოლის ზარი. სასიხარულო ახალი სასწავლო წელი დაიწყო. თქვენც, ბავშვებო, ახალი ძალითა და ხალისით დაუბრუნდით სკოლებს.



რა სასიამოვნო იყო თქვენთვის შინაარსიანად და მხიარულად გატარებული პიონერული ზაფხულის შემდეგ სკოლაში


დაბრუნების პირველი დღე, კვლავ კლასებში შერბენა, ამხანაგებთან შეხვედრა, საყვარელი მასწავლებლების დანახვა!

ისევ მერხები... ისინი თითქოს ცოტათი უფრო ვიწრო და დაბალია. მაგრამ არა, ეს მხოლოდ გეჩვენებათ—თქვენ თვითონ გაიზარდეთ ზაფხულში.


წარმოიდგინეთ, ჩვენს რესპუბლიკაში რამდენი ათეული ათასი, მთელ საბჭოთა კავშირში რამდენი მილიონი ბავშვი სწავლობს წელს სკოლებში! წარმოიდგინეთ, ამ მრავალრიცხოვან მოსწავლეებს რამდენი საკლასო ოთახი, რამდენი სახელმძღვანელო წიგნი, რვეული, ფანქარი და სხვა სასწავლო ნივთი სჭირდებათ!

ყოველივე ამაზე ზრუნავს ჩვენი დიადი სამშობლო. თქვენთვის აშენდა ახალი სკოლები, შეკეთდა არსებული შენობები; თქვენთვის დამზადდა საკმაო რაოდენობით წიგნები, რვეულები, ფანქრები, რუკები... მხოლოდ ისწავლეთ!

გისურვებთ, ბავშვებო, სწავლაში წარჩინებას!



8258



# შეხვედრა

მხ. ქაქელიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი შ. ცხადაძე

აპრილის მოწმენდილი, მშვენიერი დღე იყო. ჰაერში სასიამოვნო სითბო იგრძნობოდა. სამასწავლებლოს კარი შევალე. გრძელ მაგიდასთან ისხდნენ სკოლის ჭაღარა დირექტორი, ორი ახალგაზრდა მასწავლებელი და ჩემი აღმზრდელი ივანე თეთრაძე. მივიხსენებ

— ოჰ, თენგიზ, რა კარგი ქენი, რომ მოხვედი, — მითხრა მასწავლებელმა თეთრაძემ. — იცი, აქ კიდევ ვინ მოვა? გურამი, ქართული ჭიდაობისა და ლახტის მოტრფიალე რომ იყო. ახლა ის ცნობილი გეოლოგია.

ივანე თეთრაძე ჩვენი საყვარელი მასწავლებელი იყო, მათემატიკას გვასწავლიდა. მის ხელში მრავალი თაობა გამოიზარდა. მის ყოფილ მოწაფეთაგან ბევრმა უმაღლესი სასწავლებელიც დაამთავრა. ახლა ისინი ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ.

გურამის ხსენებაზე გული ამიტოკდა. დიდი სიხარული ვიგრძენი. ან კი როგორ არ უნდა გამხარებოდა ჩემს თანაკლასიკოსთან შეხვედრა. ერთ მერხზე შეზრდილნი ვიყავით, განუყრელი მეგობრები.

— გურამი როგორ არ მახსოვს, გურამ ქე-

ბაქეს რა დამავიწყებს! — ვუბასუხე მასწავლებელს. — მართალია, ჩვენ სხვადასხვა დარგი დავამთავრეთ, მაგრამ ჩვენი მეგობრობისათვის ამას ხელი არ შეუშლია, პირადადაც ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. როცა ხანგრძლივ ექსპედიციაშია, მაშინაც მიმოწერა გვაქვს. მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ ის ახლა თბილისში იყო.

— აქ არის, აქ. მალე მოვა. მანამდის ჩვენ გავიაროთ, სკოლა დაათვალიერე. აქ ხომ ყოველი კუნჭული ნაცნობია შენთვის.

მე და მასწავლებელი დერეფანში გავედით. წინ ჩვენი სკოლის დამლაგებელი დეიდა სალომე შემოგვხვდა. მიცნო, მაგრამ თითქოს სალამის მოცემა მოერიდა. ნუთუ ასე გამოვიცვალე, რომ მოსარიდებელი კაცი შევიქენი?!

დეიდა სალომეს, რასაკვირველია, ახსოვს ჩვენი მოწაფეობა. მე მას გულთბილად ჩამოვართვი ხელი, მოვიკითხე. მერე დერეფნის ბოლოსაკენ წავედით.

ერბოა! აგერ ჩვენი სკოლის დარაჯი ძია შაქროც! იგი ისევ ისეთი იყო, როგორიც მე

მასხოვდა: მალალი, წელში გამართული, გრძელულვაშებიანი და წარბებმოღუშული. მაგრამ რამდენი გულკეთილობა იმალებოდა „მრისხანე შაქროს“ გულში, ეს მხოლოდ იმათ იციან, რომელთაც ამ სკოლაში უსწავლიათ. მაგრად ჩამოვართვი იმასაც ხელი და ცხოვრებაში ყველაფერი კარგი ვუსურვე. მართალია, სკოლის ეზოში ბურთის თამაშს გვიშლიდა, რაც ჩვენ სრულიადაც არ მოგვწონდა. მაგრამ ან კი რა უნდა ექნა, საზღვარს რომ გადავიკიდებოდით, ძია შაქრო მაშინვე შემოგვიტყვდა. ახლა შემიძლია დავადასტურო, რომ ძალიან სწორად იქცეოდა.

— თენგიზ, იმ ოთახს თუ იცნობ, სამი ფანჯრით ბაღში რომ იქცირება? — შემეკითხა უცებ მასწავლებელი და თითქმის მთლად გათეთრებული თმა მარცხენა ხელით შეისწორა. წინათაც ასე იცოდა: დინჯად და ლამაზად წერდა დაფაზე თორმულებს, იყვანდა ამოცანებს, დროდადრო შემოტრიალდებოდა, შიშოვებდავდა და განმარტობებს გააძლიერდა. სწორედ ასეთ დროს იცოდა მან თმაზე მარცხენა ხელის გადასმა.

— როგორ არ ვიცნობ, პატივცემულო მასწავლებლო! სამი წლის განმავლობაში ამ საკლასო ოთახში ვსწავლობდით. აქ ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები, აქ დაიწერეთ საგამოცდო თემები. ისიც კარგად მახსოვს, რომელ მერხზე ვისხედით მე და გურამი.

ამ საუბრის დროს მოგვიახლოვდა სკოლის იირექტორი, რომელსაც ორი მასწავლებელი მოჰყვებოდა და იცით კიდე ვინ? — მალალი, ახოვანი გურამ ქებაძე — ინჟინერ-გეოლოგი. ჩემი ყოფილი თანაკლასელი.

ჩვენს სიხარულს საზღაარი არა ჰქონდა! რამდენი მოგონება გაცოცხლდა, რამდენი ვილაპარაკეთ! ჰკბილია სიყრმის მეგობართან, სკოლის ამხანაგთან შეხვედრა.

ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მოიყარეს თავი მეთერთმეტე კლასელებმა ჩვენი საუბრის დროს. ისინი ზრდილობიანად მოგვესალმებოდნენ და ჯგუფ-ჯგუფად ხმადაბლა საუბრობდნენ ზოგი დერეფანში, ზოგიც სკოლის ეზოში. შეკრების დაწყებამდე კიდეც საკმაო დრო იყო დარჩენილი.

გურამმა მოისურვა ჩვენს ყოფილ საკლასო ოთახში შეესულიყავით და დაგვეთვალიერებინა. თურმე ახლანდელი მეთერთმეტე კლასიც იმავე ოთახში სწავლობს, რომელშიც ჩვენ ვსწავლობდით. ახლა შეკრებაც ამ ოთახში იყო დანიშნული.

ჩვენი გულკეთილი და მოსიყვარულე მასწავლებელი ივანე თეთრაძე ოთახში შეგვიძღვა.

ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორ დაგვიწყობოდა გულმა ფეთქა! აგერ დაფა, ნაცნობი დაფა! რამდენჯერ ვყოფილვართ ამ დაფასთან! ძახებული, რამდენჯერ გავცხადებდით, რომ მოცემული დავალება სწორად გადაგვიწყვეტია, მაგრამ რამდენჯერ დაუსხამს შუბლზე ოფლი, როცა საქმე გაძნელებულა და სწორი პასუხი ვერ მიგვიღია.

მასწავლებელი მაგიდასთან დაჯდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გაკვეთილის ასახსნელად შემოსულიყოს კლასში. მერე სიცილით გვითხრა:

— აბა, ყმაწვილებო, თქვენი ადგილები დაიკავეთ!

— ახლავე, პატივცემულო მასწავლებლო! — ვუპასუხეთ ჩვენ და სწრაფად წავედით ჩვენი მერხისაკენ. ჩვენი მერხი ხომ მარცხენა მხარეს, ფანჯარასთან იდგა. გურამი კედლის მხარეს დაჯდა, რადგან მოწაფეობის დროს მას ის ადგილი ჰქონდა ამორჩეული, მე კი მის გვერდით მოვთავსდი.

ვიცქირებით აქეთ-იქით, სანიშნო სისუფთავე და წესრიგია. გაკვეთილების ცხრილი დავის ადგილზეა, მოსწავლეთა ქცევის წესები თვალში გვხვდება, ის კარგადაა გაფორმებული. თვალს ვხუჭავ და ვიგონებ ათი-თორმეტი წლის წინანდელ დღეებს.

— თქვენ ჩვენი გამოშვება კარგად გახსოვთ? — ვეკითხები მასწავლებელს.

— ძალიან კარგად.

— ყველა მოწაფე გახსოვთ?

— არათუ მახსოვს, ისიც კი ვიცი, ვინ რას აკეთებს.

მე და გურამმა გაცემებით შევხედეთ მას.

— რატომ გიკვირთ, მე მიყვარს ჩემი პროტესია, მიყვარს ის ახალგაზრდები, რომლებმაც ჩემს ხელოში გაიარეს, ყოველთვის მინტერესობდა მათი ბედი. უმრავლესობას ჩემთან მიმოწერაც ჰქონდა. თქვენ ალბათ ისიც გავიკვირდებათ, რომ მე ბევრი თქვენგანის საკლასო რეველებიც კი მაქვს შენახული, რასაკვირველია, არა ყველა, არამედ ზოგიერთი, რომელიც, ჩემი აზრით, საინტერესო იყო. რაც შეეხება თქვენს ამხანაგებს, მე შემიძლია მათ შესახებ მიკვირდენი ცნობები მოგაწოდოთ, თუკი გაინტერესებთ.

ჩვენ სმენად ვიქეციით. მასწავლებელი ადგა და ერთ მერხს მიუახლოვდა.

— აი აქ, — თქვა მან, — იჯდა გიორგი ლაშაური. გახსოვთ?

— გვახსოვს, — ვუპასუხეთ ერთად.

— გიორგი ლაშაურმა პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა მასწავლებლობს ბარისახოს საშუალო სკოლაში. ქიმიას



კლასის ხელმძღვანელს სიტყვა ვთხოვე და მოსწავლეებს მივმართე.

ასწავლის. როგორც გავიგე, კარგი მასწავლებელი ყოფილა.

— ვიცით, მართალია! — დაუდრატურეთ ჩვენ.

— თქვენს მწკრივში ბოლოდან მესამე მერხზე იჯდა გივი კილაძე. — განაგრძობდა მასწავლებელი. — ამჟამად ელექტრონიკინერია და ქუთაისში მუშაობს. მარჯვნივ, კედლის ღუმელის ახლოს, იჯდა შოთა ბერიშვილი, რომელმაც უმაღლესი აგრონომიული განათლება მიიღო და გორის რაიონში ხლის უკეთესი ჯიშების გამოყვანაზე წარმატებით ატარებს ცდებს...

ჩვენ გვაოცებდა მოხუცი მასწავლებლის მესხიერება და ცნობისმოყვარეობა.

სწორედ ამ დროს კლასში შექრო შემოვიდა და მასწავლებელს უთხრა დირექტორი გთხოვთო. ჩვენი აღმზრდელი სამასწავლებლოსაკენ გაეშურა.

ათიოდე წუთის შემდეგ გამოჩნდა მასწავლებელი თეთრაძე და მოსწავლეები კლასში შემოიყვანა. ჩვენც მაგიდასთან მიგვიწვია. ადგილი დავიკავეთ. მალე შემოგვიერთდნენ სკოლის დირექტორი და სხვა მასწავლებლები. დაკვირვებით ვუცქერდით ახალგაზრდებს და გულში კმაყოფილებას ვგრძნობდით.

კლასის ხელმძღვანელს თეთრაძეს ერთი კვირის წინათ მოსწავლეებისათვის დაევალებინა დაწერათ, თუ რომელ პროფესიას აირჩევდნენ ისინი სკოლის დამთავრების შემდეგ. იმათაც დავალება შეესრულებინათ და მასწავლებლისათვის გადაეცათ თავისი

წერითი ნამუშევრები, რომლებშიც გულმართლად გამოთქმული იყო ახალგაზრდების ლტოლვა და მიზნები. აი სწორედ ამ საღიობის ირგვლივ ატარებდა საუბარს მასწავლებელი და ჩვენც იმითომ მიგვიწვია, რომ სჯაბაასში მონაწილეობა მიგველო და მათთვის ჩვენი აზრი გავგეზიარებინა.

ერთ საკითხში მოსწავლეები თითქოს შეთანხმებულნიყვნენ — ყველა დიდ სურვილს გამოთქვამდა, რომ აუცილებლად უმაღლესი განათლება მიეღო. შვიდს ექიმობის სურვილი ჰქონდა, ხუთს — აგრონომობისა, ექვს მოსწავლეს საინჟინრო დარგი აინტერესებდა, ოთხსაც — მასწავლებლობა, ორსაც საფეიქრო საქმის შესწავლა.

— ყმაწვილებო, — წარმოთქვა კლასის ხელმძღვანელმა, — ორ თვეში თქვენ სკოლას დაამთავრებთ. ძალიან სასიხარულოა, რომ უმრავლესობას გათვალისწინებული აქვს თავისი ცხოვრების მომავალი გზა, იცის, რატომ უნდა იაროს ამ გზით და ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომელ პროფესიას რატომ ირჩევს. სასიხარულოა, რომ ამ არჩევანში განმსაზღვრელობს საზოგადოებრივი ინტერესი თამაშობს, ხალხისა და სამშობლოსადმი თავდადებული გამსჭვალული ახალგაზრდობა ცხოვრებაში არასოდეს არ დამარცხდება! არ დამარცხდება ამ სტრიქონების დამწერო ყმაწვილიც, — მან რვეული აიღო და შემდეგი სტრიქონები წაიკითხა: „მარშან ზაფხულში მე ჩემს რამდენიმე ამხანაგთან ერთად ვარძია ვინახულე და ჩვენი სახელოვანი წარსულისადმი უდიდესი აღტაცება ვიგრძენი. შემდეგ შემთხვევა მომეცა მცხეთის მიდამოებში წარმოებული გათხრები დამეთვალაყრებინა. გამაოცა სვეტიცხოველის სიღიადემ. მეათე კლასში ყოფნისას ვფიქრობდი ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევსულიყავი. მიყვარდა ეს დარგი და ახლაც მიყვარს. ლექსები და მოთხრობებიც მაქვს დაწერილი. მაგრამ მელიქიშვილის ქუჩაზე აშენებული ახალი ლამაზი სახლი რომ ვნახე, საბოლოოდ გადავწყვიტე არქიტექტორი გავხდე და შევქმნა დიდებული ნაგებობა, ისეთი, როგორიც ჩვენს დიად დროს შეეფერება. მე უკვე ვხედავ ოცნებაში ჩემ მიერ აგებულ შენობას, ყველაზე უფრო ლამაზს, მიმზიდველს, ნათელს, ფართო და მაღალი ოთახებით, თვალწარმტაცი აივნებით და სადარბაზო შესასვლელებით. ვხედავ სამუშაოდან დაბრუნებულ მოზინადრეებს, რომლებიც ისვენებენ, მომავალი შრომისათვის ძალას იკრებენ და ამ სახლის შემქმნელს, ამ სახლის ამშენებლებს მადლობას უძღვნიან...“



კლასის ხელმძღვანელი ისევ წამოდგა და მოსწავლეებს მიმართა...

თვალეები გამიბრწყინდა და მასწავლებელს მოუთმენლად შევეკითხე:  
— ვისი დაწერილია?

— ეს ზურაბ ზამბახიძისაა, აი ამ ყმაწვილსა, თქვენთან რომ მეთერთმეტეკლასელებთან შეხვედრის მოსაწვევი ბარათი შემოგატანე გუშინ.

მევეხედე ზურაბს, რომელსაც თავი დაეხარა, და ახლა მივხვდი, თუ რატომ მიცქერდა ის ცნობისმოყვარეობით და აღტაცებით — მელიქიშვილის ქუჩაზე აღმართული სახლი ხომ ჩემი პროექტითაა აშენებული. ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. კლასის ხელმძღვანელს სიტყვა ვთხოვე და მოსწავლეებს მივმართე:

— ჩემო მეგობრებო! ჩვენი ცხოვრება ფართო და მრავალფეროვანია. თქვენი მისწრაფება და მიზნები წმინდაა და ნათელი. ორმად გწამდეთ, რომ ბეჯითი შრომითა და სწავლით თქვენს იმედებს ფრთა შეესხმება. მე მჯერა, რომ ზურაბიც მიზანს მიაღწევს და ჩვენ ყველანი ვნახავთ მის მიერ აშენებულ ლამაზ შენობას, რომელიც ყველას გაგვახარებს.

კლასის ხელმძღვანელი ისევ წამოდგა და მოსწავლეებს მიმართა:

— საერთოდ მე თქვენი არჩევანით კმაყოფილი ვარ, ყმაწვილებო, ყველა პროფესია, ყველა სპეციალობა კარგია, თუკი საფუძვლიანად შეისწავლით მას. მთავარია — არჩეული დარგი გიყვარდეთ სულითა და გულით. გისურვებთ წარმატებას, ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო!

დიდხანს გაგრძელდა ჩვენი გულთბილი საუბარი.

## ჩ ე მ ი ო ც ნ ე ბ ა



გე ახლა დიდი გოგო ვარ და როცა ვიყავ პატარა, იცით, ვნატრობდი როგორა: — ნეტავ სკოლაში მატარა! სურვილი მალე ამიხდა, სწავლა დავიწყე გამრჯელმა; მერე სხვა ნატვრა გამიჩნდა: — ნეტავი გორი მაჩვენა! კვლავ გავიხარე, უკლებლივ ამიხდა, მსურდა მე რაცა: დიდი ოქტომბრის დღეებში ვნახე ბელადის კერაცა! სამშობლო თავზე გვევლება, ყველა კარგ სურვილს აგვიხდენს.

ერთ ნატვრას კვლავ ვერ ვეღვი, მუდამდღე იგი მაფიქრებს: მინდა ოქტომბრის ზეიმზე მოსკოვში ვიყო წვეული, მინდა ვიხილო ჩვენი მზე — ჩვენი ბელადი რჩეული! კრემლის ვარსკვლავი ალისფრად სხივებს მაფრქვევდეს კაშკაშით, ვესალმებოდე სტალინსა ჩვენი ქართული ვაშათი! ეს კარგი ნატვრაც ახდება, იმ დღეს ხალისით მოველი; ჩვენს ქვეყანაში არ გვხვდება სურვილი მიუწვდომელი!

**გაბრიელ ჯაბუხაძე**

# ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში




ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შვიდობის ქუხილი, გულიდან მომსკდარი,  
ალსავესე ურყევი ძალით და სიკეთით,  
კომუნისმისათვის მებრძოლი მგოსანი —  
მოსკოვს ჩამოვიდა მქუხარე ჰიქმეთი.  
სიმათლეს ღალადებს მისი ხმა გულწრფელი,  
ცხრაკლიტულს ამტერევედა ლექსების განგაშით,  
ის ხალხის ბედნიერ მომავალს უმღერის  
და ხალხიც არასდროს დაკარგავს ამგვარ შვილს.  
თქვა: — მოსკოვს ჩამოველ მე, თურქი მგოსანი,  
ვარდებით ამევსო მეზნებარე გულ-მკერდი,  
შემომხვდნენ ბავშვები თვალმსხივოსანი,  
ნესტიან საკანშიც გულით რომ ვუმღერდი.  
აქ წუთიც ყოველი სიხარულს ღალადებს,  
აბრწყინებს ყველაფერს სტალინის გონება,  
მე მინდა მოსკოვის ბაღით აყვავდეს  
შავზნელი თურქეთის შავზნელი ცხოვრება.  
მე მინდა თურქეთშიც ოქროსფრად გათენდეს,  
გაისხნას ცხოვრების დახშული ფანჯრები,  
მზე უქრობ ათინათს სახლებში აფრქვევდეს,  
ხმატკბილად ამღერდნენ თურქეთის ბავშვებიც.  
დღის შუქი მოსავდეს ქუჩებს და ეზოებს,  
ყოველი საათი შრომისთვის ბრწყინავდეს,  
სიცოცხლის დიადი სიმღერა ისმოდეს  
ქუჩიდან ქუჩაზე, ბინიდან ბინამდე.  
სითბო და ღიმილი ბედნიერ სახეთა  
ვარდთა სურნელივით იღვრება გარშემო,  
თურქეთის მგოსანი დღეს თქვენთვის ამღერდა,  
სალამი, ძვირფასო საბჭოთა ბავშვებო!  
მოსკოვში ჩამოსვლა თურქ პოეტს წილად მხვდა,  
ნანატრი წუთები ვარდივით შლილია,  
მე ვხედავ მშვიდობის ელვარე ჩირაღდანს  
და ვამბობ: საბჭოთა კავშირის შვილი ვარ!

ოთარ შალაშვილი





# ქვედათე

## პიონერული

### მუშაობისათვის

დამთავრდა თვალწარმატები პიონერული ზანთული და თქვენ გაჯანსაღებულნი, პიონერულ ბანაკებში, ლაშქრობებსა და მოგზაურობებში მიღებული ცოდნით გამდიდრებულნი კვლავ მშობლიურ სკოლებს დაუბრუნდით. თქვენ მიერ შედგენილი ჰერბარიუმებით, კოლექციებით, თვითნაკეთი ხელსაწყოებით შეავსეთ სასკოლო კაბინეტები, კიდევ უფრო ლამაზად და მიმზიდველად მორთეთ თქვენი პიონერული ოთახები.

ახალ სასწავლო წელს რაზმის პირველ შეკრებაზე შეაჯამებთ განვლილი სასწავლო წლის მუშაობის შედეგებს, გაითვალისწინებთ მიღწეულ წარმატებებს, არსებულ ნაკლოვანებებს და საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნებულნი დასახავთ მომავალი მუშაობის გეგმებს. მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ ანგარიში იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა რაზმის საბჭო — ეს იქნება მთელი რაზმის, თითოეული პიონერის მუშაობის ანგარიში. ამიტომ რაზმის საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილმა პირველმა შეკრებამ ახალ სასწავლო წელს პიონერებს მთელი წლის მუშაობის იმპულსი უნდა მისცეს.

პიონერული აქტივი დიდი ძალაა. ის არის ხელმძღვანელის დასაყრდენი მთელს მუშაობაში. ფართო, ინიციატივიანი პიონერული აქტივის გარეშე წარმოუდგენელია რაზმეულის ან რაზმის შინაარსიანი, საინტერესო ცხოვრება. იმაზე, თუ ვის აირჩევენ ბავშვები თავიანთ ხელმძღვანელ ორგანოებში, დამოკიდებულია მთელი პიონერული მუშაობის წარმატება სკოლაში. აი რატომ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება პიონერული აქტივის არჩევნებს.

პიონერული აქტივის არჩევნების დროს უნდა გაითვალისწინოთ ის გარემოება, რომ

საზოგადოებრივი დავალებები განაწილებულ იქნეს კანონზომიერად, არ შეიძლება ერთსა და იმავე პიონერს მიეცეს რამდენიმე დავალება, მაშინ როდესაც პიონერთა დიდი ნაწილი საზოგადოებრივი დავალებების გარეშეა დარჩენილი. უნდა ეცადოთ აქტივისტთა რიგები შეავსოთ ახალი პიონერებით.

აი, ახლად არჩეული აქტივი შეუდგა მუშაობას. ისინი აღსავსენი არიან სურვილით გამართლონ ამხანაგების ნდობა, მაგრამ რით დაიწყონ? რას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება? ათეულობით საკითხები წამოიჭრება მათ წინაშე: პიონერხელმძღვანელის ვალია სწორად, მოხერხებულად წარმართოს ბავშვთა ინიციატივა — დროზე ურჩიოს, დაეხმაროს, ასწავლოს მათ.

ცოდნის წარმატებით დაუფლება, სასწავლო დისციპლინის მტკიცედ დაცვა — ასეთია საბჭოთა სკოლის თითოეული მოსწავლის უპირველესი ამოცანა. პიონერი უნდა იყოს მაგალითის მაჩვენებელი ყველა მოსწავლისათვის. ამიტომ ყოველი რაზმეული, რაზმი, რგოლი თავისი მუშაობით პირველ რიგში უნდა დაეხმაროს სკოლას, მასწავლებლებს ცოდნის ღრმად დაუფლების და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. ყოველი პიონერის წარმატება სწავლაში ბავშვთა მთელი კოლექტივის სიხარულს უნდა იწვევდეს, ხოლო ცალკეული პიონერების სიხარამაც, უდისციპლინობა მათი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

მაღალი აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლაში ბავშვთა კოლექტივის დარაზმვის საუკეთესო საშუალებაა ჩამორჩენილი ბავშვებისადმი ამხანაგური დახმარება. მხოლოდ უნდა დაეხმაროთ იმას, ვინც თვითონ ცდილობს, მაგრამ დახმარება მაინც სჭირდება.



პიონერული მზრუნველობა და დახმარება განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის გამო ბავშვი დიდი ხნით მოსწყდება სკოლას.

ზოგიერთი პიონერისაგან ხშირად გაიგონებთ: „ჩვენ არ ვიცით, რა მოვიფიქროთ საინტერესო, რა გავაკეთოთ?“

იქ, სადაც რაზმის საბჭოში ენერგიული პიონერები არიან, ბავშვებს ბევრი საინტერესო საქმე აქვთ. ისმება კითხვა: რა უნდა გააკეთოს რაზმის საბჭომ?

რაზმის საბჭო წყვეტს ყველაზე სერიოზულ საქმეებს: ადგენს სამუშაო გეგმას, მსჯელობს — როგორ უნდა ჩატარდეს მომავალი შეკრება, რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს პიონერმა, რომ კარგად სწავლობდეს... იმისათვის, რომ ყველა ეს საკითხი სწორად გადაჭრას, საბჭომ უნდა იცოდეს, თუ რით არიან დაინტერესებული მათი რაზმის პიონერები. რაზმის საბჭოს მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეს რგოლის ხელმძღვანელებთან, იგი ყოველთვის უნდა ეხმარებოდეს მათ მუშაობაში, აძლევდეს რჩევა-დარიგებას, რგოლის ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რაც აინტერესებთ მათი რგოლის პიონერებს. თუ რგოლებში კარგადაა მუშაობა დაყენებული, კარგად მუშაობს მთელი რაზმიც.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს რაზმის საბჭო რაზმის შეკრების მომზადებას. შეკრება საინტერესოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ მის მომზადებაში ყველა ბავშვი მონაწილეობს.

პიონერული მუშაობის კარგად წარმართვა სკოლაში დიდად არის დამოკიდებული სამუშაო გეგმის კარგად და მოთქმულად შედგენაზე. გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს პიონერული ორგანიზაციის როლი სკო-

ლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. შინაარსიანი, მოფიქრებული გეგმა ბავშვებს საშუალებას აძლევს არ დაკარგონ მუშაობის პერსპექტივა, ყოველდღიური მუშაობით გართულებს მხედველობიდან არ გამოჩნდეთ მთავარი, ამასთან ერთად გეგმას ორგანიზებულია შეაქვს მთელ პიონერულ მუშაობაში. ბავშვები ეჩვევიან სიზუსტეს, დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისადმი პასუხისმგებლობას.

რაზმეულის ან რაზმის სამუშაო გეგმის შედგენისას პიონერხელმძღვანელი ყურადღებით უნდა ესაუბროს სკოლის დირექტორს, კლასის ხელმძღვანელს, მასწავლებლებს, გაარკვიოს, თუ რა ამოცანებს აყენებენ ისინი მის წინაშე. მაგრამ ეს კიდევ არაა საკმარისი. გეგმაში ასახული უნდა იქნეს პიონერთა მოთხოვნები და ინტერესები; ყოველდღიური ცხოვრება, პიონერთა ინიციატივა და თვითმოქმედება სისტემატურად ბადებენ ახალ-ახალ წამოწყებებს, საინტერესო საქმეებს. ამიტომ ხელმძღვანელმა კარგად უნდა გაიგოს, თუ რით არიან დაინტერესებული მისი პიონერები. მხოლოდ ასეთნაირად დაგეგმილი პიონერული მუშაობა შეიძლება იყოს ბავშვებისათვის საინტერესო, მიმზიდველი და ამავე დროს უპასუხებდეს პიონერული ორგანიზაციების წინაშე დაყენებულ ამოცანებს.

პიონერულ მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესრულების შემოწმებას და ჩატარებული მუშაობის აღრიცხვას. მაგრამ აღრიცხვა არ უნდა ატარებდეს მშრალ, ოფიციალურ ხასიათს. იგი უნდა იყოს თვალსაჩინო, მიმზიდველი. პიონერული მუშაობის აღრიცხვის საუკეთესო ფორმაა პიონერული დღიურები და ბავშვთა შემოქმედების გამოფენები.

ბ. სანიული





## მ თ ი ე ღ ი ბ ი ჭ ი

სულ ხუთებზე დაამთავრა  
მეთერთმეტე კლასი  
და ნათელი მომავალი  
ეხატება თვალით:  
აი, უკვე ინსტიტუტის  
კარებს ალებს იგი,  
ღრმა სიბრძნეთა დაუფლების  
დაღვა მისი რივიც.  
გაფრინდება ხუთი წელი  
უხილავი ფრთებით  
და უკანვე მოუხმობენ  
მშობლიური მთები.  
დიდზე დიდი სურვილებათ  
დაბრუნდება მართლაც,  
სადაც მისი სიყმაწვილე  
ბადაგივით დატკბა,  
სადაც მგლებზე სანადიროდ  
დაჰყვებოდა ბიძებს,  
სადაც ცეცხლი დაუნთია  
უფსკრულების პირზე,  
სადაც ღამე უთევია

სალამურით ხელში,  
სადაც თეთრი ჩანჩქერების  
წყალი უსვამს ბეშვით,  
სადაც ვიწრო ბილიკებზე  
უქროლია ცხენით,  
სადაც ხშირად კოლექტივის  
უმწყემსია ცხვრები...  
დაბრუნდება, დაბრუნდება,  
თქმა არ უნდა ამას,  
ახალგაზრდა ინჟინერი  
დააფასებს ამას.  
იქ, სად ორი ალაზანი  
ორ მხრისაკენ მიქრის,  
მთაში გვირაბს გაატარებს, —  
ფრთებს შეისხამს ფიქრი...  
ორ ალაზანს ერთი გეზით  
დაბლობისკენ დაძრავს,  
და მდინარეს გადააქცევს  
ელექტრობის განძად!

**გალეა ანისულაშვილი**

მხატვარი ბ. ღიკი



# ახალგაზრდობის ფესტივალის ბერლინში



ავგისტო ბერლინში — დაუვიწყარი იქნება ის დღეები არა მარტო იმათთვის, ვისაც წილად ზედა ბედნიერება ყოფილიყო იქ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში ჩატარებული ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მესამე მსოფლიო ფესტივალის უძვირფასეს ფურცლად შევა მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრდობის ბრძოლისა და შემოქმედების დიდ წიგნში.

5 ავგისტოს ბერლინში ვალტერ ულბრიხტის სახელობის მოედანზე გაიხსნა და 19 ავგისტოს დაიხურა ფესტივალის.

მრავალი ათეული ქვეყნის ქაბუკებმა და ქალიშვილებმა მოიყარეს იქ თავი. ესენი იყვნენ ფესტივალის მონაწილე დელეგაციები.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის, კორეისა და ალბანეთის, ამერიკისა და ინგლისის, სულ ას ოთხი ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობა იყო ფესტივალზე წარმოდგენილი. აქ მათ უჩვენეს არა მარტო თავიანთი ხელოვნებისა და სპორტის ბრწყინვალე ნიმუშები... მთელი ფესტივალის ჩატარება მშვიდობისათვის ბრძოლის ლოზუნგით.

„ახალგაზრდობავ, გაერთიანდი მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის!“ — ასეთი იყო ფესტივალის მონაწილე ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის დელეგაციის დევიზი. მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მომწოდებელი ხმა პროგრესული ახალგაზრდობისა გაისმოდა მრავალ ენაზე.

მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის გულისყური მიუყრობილი იყო ფესტივალის დღეებში დემოკრატიული გერმანიის დედაქალაქ ბერლინისაკენ. კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები ყველა ღონისძიებას ხმაობდნენ, რომ ახალგაზრდობისათვის გზა გადაეღობათ, არ მიეცათ მათთვის საშუალება ჩასულიყვნენ ბერლინში ფესტივალზე მონაწილეობის მიხედვად. იმპერიალისტები ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალათ ფესტივალის.

მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც პოლიციის რეპრესიებმა ვერ დააკავეს კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული ახალგაზრდები — ისინი მისწრაფოდნენ ბერლინისაკენ, ფესტივალზე, მიჰქონათ რა მშვიდობისათვის ბრძოლის უშრეტო ენერჯია.

განუზომელი სიყვარულით იყო გარემოცული საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის დელეგაცია, დელეგაცია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსი, რომელიც სათავეში უდგას მშვიდობისათვის ბრძოლას.

საბჭოთა კავშირი, დიდი სტალინი! — ეს მშვიდობის, თავისუფლებისა და ადამიანთა ბედნიერების

სიმბოლოა. ამაღლებელი იყო ფესტივალის მონაწილე ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის დელეგაციის ყოველი შეხვედრა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციასთან.

მრავალი სახელოვანი ახალგაზრდა იყო ფესტივალის მონაწილე. ბერლინში ჩავიდა კორეის სახალხო დემოკრატიული არმიის მებრძოლი, 19 წლის კიმ გი უ, რომელმაც სამშობლოს თავისუფლებისათვის მამაცურ ბრძოლაში ორჯერ მოიპოვა გმირის სახელწოდება. ფესტივალში მონაწილეობის მიხედვად ჩავიდნენ დანიელი პატრიოტი ახალგაზრდები ინსენი, ჰედვერდი და რასმუსენი, რომლებიც, მსგავსად რაიმონდა დიენისა, გაწვენ რკინიგზის ლიანდაგზე და საშუალება არ მისცეს საომარი საქურვლით დატვირთულ ემულონს გზა განეგრძო. ფესტივალის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ კორეელ გმირ ქალიშვილს, მედიცინის დას ლი სუნ იმს, რომელმაც ბრძოლის ველიდან უმძიმეს ვითარებაში გამოიყვანა კორეის სახალხო დემოკრატიული არმიის 150 მეომარი.

მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ ამერიკის შერტებულ შტატების, ინგლისის, დასავლეთ გერმანიისა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების ახალგაზრდებს, რომ ბერლინში ჩასულიყვნენ.

ფესტივალში მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობისათვის ნორჩი მებრძოლებიც. აი ბელგიელი ფრანსუა ბრუერსი. იგი 12 წლისაა. პატარა ფრანსუა თავის ქვეყანაში გაბედულად აკროვებდა ხელისმოწერას მშვიდობისათვის. ნორჩი კორეელი მებრძოლებიც ჩავიდნენ ბერლინში, — ლი ბენ სამი, რომელიც პარტიზანულ რაზმს „ახალგაზრდა გვარდიას“ ხელმძღვანელობდა, და პატარა ბალერინა ან სენ ხი, რომელიც აკრეთვე პარტიზანებთან ერთად იბრძოდა ქრილობის გამო მტრის გარემოცვიდან გამოსვლის შემდეგ.

ბერლინის ფესტივალს, რომელშიც ორმა მილიონმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის შენარჩუნებისათვის.


ხალხს არ უნდა ომი.

ეს ფესტივალის ხალხის, ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის სიცოცხლისა და ბედნიერების დაცვის საქმეს ემსახურებოდა.

ფესტივალმა გვიჩვენა, რომ ნიჭიერი, შემოქმედი პროგრესული ახალგაზრდობა, რომელმაც თავისი შალალი ხელოვნებითა და სპორტით განგაცვიფრა, მზადაა დაცვას მშვიდობის საკაცობრო საქმე.

ფესტივალის მონაწილეებმა მიიღეს ფიცი, რომ ისინი მთელი მსოფლიოს დემოკრატიულ ახალგაზრდობასთან ერთად თავდადებით იბრძობენ მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

მ. ლეშკრკი



## ძ მ ე ბ ი

ნოლარ ჩხიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ა. ბანძულაძე

ძმები ესესელოთა გარნიზონის უფროსთან შეიყვანეს. მათ სახეს ნაწრთობი ფოლადის ფერი ჰქონდა. არაფერს არ გრძნობდნენ ამ წუთში, გარდა დაუძლეველი სურვილისა გამწარებინათ, დაეკბინათ ეს ქვეყნის ამწიოკებლები.

კედლის საათი ხუთს აჩვენებდა.

ტოლიას წინ დადგეს სკამი, რომლის დასაჯდომი და საზურგე დაფარული იყო ლურსმნის მსგავსი წვერგალესილი მოკლე მავთულის ნაჭრებით.

თითქოს ტანზე გადასხდნენო ეს მავთულები — ტოლიას გააძაგძაგა.

— რუსის ლეკვები! — დაიღრიალა მალაღმა, გამხდარმა გერმანელმა ოფიცერმა და სილა გააწნა ტოლიას ძმას — პატარა მიტკას.

ბიჭს თვალები გაუფართოვდა. კბილები დაახრჭიალა და თვალებში მიაფურთხა ოფიცერის. გერმანელმა მთელი ძალით ამოჰკრა მუცელში ჩექმა. პატარამ განწირულის ხმით დაიყვირა და მოწყვეტით დაეცა იატაკზე.

ტოლია შეძრწუნდა და თვალები დახუჭა...

ძმები ცემენტის იატაკზე ეყარნენ. ჯარისკაცი, რომელიც წამების გაუგონარი ხერხებით ცდილობდა მათ გამოტეხას, ელექტროლუმელთან მივიდა, მასზე დალაგებული გავარვარებული ლითონები აიღო და ტოლიას ნახევრად შიშველ სხეულს მიუახლოვა...

ბიჭი კრუსუნებდა და იკლაკნებოდა, შემდეგ ხივილი დაიწყო და არაადამიანური ხმით იყვირა:

— ვაიმე, დედიკო! მიშველეო, დავიწვი... მიტკა! მომეხმარე, ძამიკო, მომე-ხმა-რე! — და თავი ჩაქინდრა. პატარა მიტკა უაზროდ მის-

ჩერებოდა მას, მერე თვალი გერმანელზე გადაიტანა და ისეთი ხმით, რომელიც ვერ მალავს ყელში მომდგარ ბოღმას და კბილებით შეკავებულ ტირილს, დაიღრიალა:

— შეჩერდიო, მხეცებო! შეჩერდიო, ნუ მომიკლავთ ძმას, მე გეტყვით ყველაფერს! გერმანელმა ბოროტად გაიღიმა. მან მოუხმო ოფიცრებს და მიტკას მიმართა:

— აბა, დაიწყე!

მიტკამ დაიწყო:

— ნიკიტოვიკის პარტიზანთა შტაბი იმყოფება... იმყოფება... „ცისფერ მოსულთან“. რაზმში სამასი ქალი და კაცია.

ლონემიხდილმა ტოლიამ თავი წამოსწია და გაკვირვებით მიაჩერდა მიტკას — ხომ არ შეიშალა, რას ამბობსო, — გაიფიქრა მან. ტოლიას გონებაში თანდათან გამოიკვეთა უფერული საგნების კონტურები. აი „ძია კუზმინის“ ნაოჭებით დაღარული სახე, ორი მოკლული შეილის დედა ანასტასია ჩაიკინა, ცამეტი წლის პეტკა ივანოვის ცეცხლით ანთებული თვალები, ცხრა წლის ვალია პეტროვას ქერა კულულები... შემდეგ გერმანელები, შტაბი, დაკითხვა... და ახლა მას გარკვევით ესმოდა ნაცნობი ხმა, რომელიც გერმანელებს დაწვრილებით ელაპარაკებოდა პარტიზანების ადგილმდებარეობისა და რაოდენობის შესახებ და მან, ტოლია ივანოვმა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რომ ერთხელ კიდევ მოსულიყო გონს და მთელი ხმით დაეყვირა:

— მოდალატეე! გამცემო! — და ტოლიამ სისხლი გადააფურთხა იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა.

— რას ამბობ, გველის წიწილო!  
— არაფერს...  
ამ დროს ფანჯრის მინები წითლად  
ღებდა ხელყუმბარების ცეცხლმა, ერთმა, მე-  
ორემ, მესამემ...  
— გესმით? მოუსმინეთ, მხერკებო. პარტი-  
ზანები ლაპარაკობენ! — მიტკა ოინავე წამო-  
იწია და მერე დაუმატა:  
— ჩვენები, ძმაო ტოლია, ჩვენები მოვიდ-  
ნენ, გესმის? ადექ, ბიჭო, გახედე სარკმელს!  
შეიდი ტყვიიდან მხოლოდ ერთი ასცდა



— ჩუმად, გველის წიწილო!  
მიტკა კი განაგრძობდა:  
— რაზმი არსებობს დღიდან ჩვენი რაიონის ოკუპაციისა. როგორც მე გადმოცემით ვიცი და ნახულიცა მაქვს, რაზმს ჩატარებული აქვს ასამდე ოპერაცია გერმანელების წინააღმდეგ. მისი ოპერაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გენერალ პატკაუტის ცოცხლად შეპყრობა...  
ის ლაპარაკობდა და ყურს უგდებდა საათის მუშაობას. კედლის საათი აჩვენებდა ექვსსა და ორმოც წუთს.  
მიტკა ლაპარაკობდა და თან უკვე დღლაგდა.  
— მაგრამ შენ არ გითქვამს თქვენი აქ მოსვლის მიზეზი, შენ არ გითქვამს, თუ რას აპირებს ამჟამად პარტიზანთა რაზმი ან როლის აქვს გადაწყვეტილი ოპერაციის დაწყება ჩვენს წინააღმდეგ.  
— ნუ გეშინიათ, სულ ხუთი წუთი, ხუთი წუთი მოითმინეთ. ხუთი წუთის შემდეგ თქვენ იხილავთ მათ ვაჟკაცურ სახეებს!

მიტკას პატარა, ვაჟკაცურ მკერდს და ცემენტის იატაკში ჩაიჭედა.  
სარკმლებს იქით იწვოდა ღამე.

\*\*\*

— მე, ძამიკო, აი, მე, ტოლია, მოვედი შენთან და შენი საყვარელი მინდვრის ყვავილები მოგიტანე; შენ მათგან ყველაზე მეტად წითლები და ცისფერები მოგწონდა.  
...რა პატარა, მაგრამ როგორი უშიშარი იყავი, მიტკა! რა ღამაზად გამოირტყებოდა გამოსულ ნორჩ სიცოცხლეს... სოფლის ნაპირას დაგასაფლავეთ. გვეშინოდა, გერმანელებს არ ამოეთხარათ შენი სამარე.

მე მთელი ერთი თვე ვიყავი ავად და მუდამ ყურებში მიწიოდა შენი ძახილი: „ჩვენები, ტოლია, ჩვენები, გესმის?! გესმის?!“... როგორ გიყვარდა გარიჟრაჟი, ოცნება მომავალზე! რამდენჯერ მიპოვნისბარ დონეცის ნაპირზე სათევზაოდ გაპარული შენს პატარა ამხანაგებთან, რომლებიც თავიანთ ატამანად გთელიდნენ. რა კეთილი იყავი!


ჩვენს მეზობლად მცხოვრებ პეტროვებს ძროხა წაართვეს გერმანელებმა, შენ დედასთან მოიბრინე ტირილით და იხვეწებოდი: უედიკო, მე მოვითმენ და პატარა სერიოჟკა პეტროვს გაუზავნე ჩემი წილი რძე ყოველდღეო. როცა დედამ შენი სურვილი შეასრულა, მას შუბლზე აკოცე მადლობის ნიშნად.

ჩვენსა საქმემ გაიმარჯვა, ძამიკო, ჩვენი სოფელი ახლა უფრო ლამაზი და კარგია, ვიდრე ომამდე იყო. ვიოლინოს დავანებე თავი, ვერ შევძელი შენი საყვარელი ინსტრუმენტის ხმარება. ახლა საფორტეპიანო

სკოლაში დავდივარ, ხშირად ვუკრავ შენის მუსიკას... მაშინ შენი მოძრავი ტანი, ლამაზი სახე და ბოლოს მწვანით შეფერილი საფლავი დადგება ჩემ თვალში. ჩემი მოვეშურები.

ჩვენსა საქმემ გაიმარჯვა, ძამიკო, მაგრამ... ისევ ემზადებიან მშვიდობის მტრები, ოღონდ ახლა სხვა ჯურისანი, ომისათვის, ხალხის განადგურებისა და წამებისათვის...

მაგრამ ძლიერია ჩვენი ქვეყანა, მისი ხალხი, უძლეველია მილიონობით მშვიდობისათვის მებრძოლ ადამიანთა ნებისყოფა. და განა შენი პატარა, მშვენიერი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას არ შეეწირა? მე მინდა შენი ამბავი მოვუთხრო ქვეყანას, მსოფლიოს, შენსა და ჩემ ტოლთ, მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ახალგაზრდას, რომ მეტად ვაფასებდეთ მშვიდობას, რომ არასოდეს დაგვაფიწყდეს, თუ რას ნიშნავს ომი, თუ რა მოაქვს მას.



ბავშვთა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა წარმოშობა იწვეს მეორე მსოფლიო ომის დროს, განსაკუთრებით გერმანიის ფაშიზმსა და იაპონიის იმპერიალიზმზე გამარჯვების შემდეგ.

1948 წლის დასაწყისისათვის ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაციები აერთიანებდნენ მსოფლიოს დაახლოებით 20 ქვეყნის, მათ შორის ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის, კორეის, საფრანგეთის, ფინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების 3 მილიონზე მეტ ბავშვსა და მოზარდს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა ამ ორგანიზაციების რაოდენობა და რიცხობრივი შემადგენლობა.

1942 წლის 10 თებერვალს ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ჩაეყარა საფუძველი ალბანეთის პიონერთა პირველ რაზმს, ხოლო შემდეგ პიონერთა რაზმები შეიქმნა ამ ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც. პიონერები ეხმარებოდნენ პარტიზანებს ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1945 წელს პიონერთა

ცალკეული რაზმებიდან წარმოიშვა ალბანეთის პიონერთა კავშირი, რომელიც ამჟამად 300 ათასზე მეტ ბავშვს აერთიანებს.

პიონერთა კავშირის მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ ბავშვებს მისცეს დემოკრატიული აღზრდა, შთაუწერგოს მათ სამშობლოსა და სწავლისადმი სიყვარული.

ბევრ ქალაქსა და სოფელში არის პიონერთა სახლი. დიდი ტირაჟით გამოდის გაზეთი „პიონერი“, ყურნალები „ფატოსი“ და „პიონერხელმძღვანელი“.

ზაფხულში პიონერები და ფატოსები (უმცროსი ასაკის ბავშვები) ისვენებენ ბანაკებში, სადაც მრავალმხრივ საინტერესო და მიმზიდველი მუშაობა ტარდება; ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში — აწენებენ ბაღებს, მონაწილეობენ ქალაქებისა და სოფლების ადღვენაში, ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მზადებაში და სხვა.

რაზმის მწუობრის წინ ისმის ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირების სიტყვები: „მე, მამაცი და შრო-



მისმოყვარე ალბანელი ხალხის ნორჩ შვილს, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი სამშობლო — ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა. მიყვარს ალბანეთის ნაციონალური არმია, რომელმაც გაგვათავისუფლა ჩვენ და იცავს განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაპოვარს, მიყვარს ამხანაგი ენვერ ხოჯა, ამასთანავე ჩემი მშობლები, მასწავლებლები და პიონერხელმძღვანელები.

დროშის წინ გაძლევთ ფიცს, რომ მთელს ჩემს ძალას მოვახმარ ჩემი სამშობლოს განმტკიცებას. ვისწავლი, რომ ვემსახურო ჩემს ხალხს, პატიოსნად შევასრულებ ყველა პიონერულ დავალებას“.

1945 წლის აპრილში ბულგარეთში შეიქმნა ბავშვთა ერთიანი ანტიფაშისტური დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც ფაშისტური გერმანიის ჩაკვრისაგან ბულგარეთის განთავისუფლების დღის — 1944 წლის 9 სექტემბრის — აღსანიშნავად სექტემბრული ორგანიზაცია ეწოდა.

სექტემბრული ორგანიზაცია იქმნება სკოლებთან, საბავშვო სახლებთან. იგი აერთიანებს ბავშვებს 6-7 წლიდან 14 წლამდე.

სექტემბრული ორგანიზაციის უმცროსი ასაკის ბავშვთა ჯგუფს, ბულგარეთის ნაციონალური გმირის ჩავდარის პატივსაცემად, ჩავდარებებს ეძახიან.

სკოლაში სექტემბრელები ერთიანდებიან ერთ რაზმულში, რომელიც იყოფა რაზმებად, ანუ „ჩეტებად“. რაზმებისა და რაზმულების ხელმძღვანელებად მუშაობენ ახალგაზრდობის დიმიტროვის კავშირის წევრები, რომლებიც ამავე დროს მუშაობენ წარმოებაში ან სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში.

1948 წლის აპრილში ჩატარდა სექტემბრული ორგანიზაციების შეკრებები, სადაც ბავშვებმა მიიღეს საწინამო დაპირება. მაშინ დადურიადათ მათ პიონერული ყელსახვევები და ნიშნები.

ამჟამად სექტემბრული ორგანიზაციებთან შექმნილია და მუშაობენ სხვადასხვა სახის საგნობრივი წრეები. ბავშვები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ფაბრიკა-ქარხნებში ჩამოყალიბებული პრაქტიკული წრეებისადმი, სადაც გამოცდილი ხელოსნების ხელმძღვანელობით ისინი პრაქტიკული მუშაობის ჩვევებს იძენენ.

სექტემბრელები და მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ომის შემდეგ პიონერთა ორგანიზაციები წარმოიშვნენ რუმინეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ასევე წარმატებით ვითარდებიან.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით 1949 წელს შეიქმნა რუმინეთის პიონერთა კავშირი.

დიდ ყურადღებას აქცევს რუმინეთის მუშათა პარტია და მთავრობა პიონერთა ორგანიზაციების მუშაობას. მათთვის უკვე შექმნილია პიონერთა ბანაკები, ბავშვთა სანატორიუმები. ბუქარესტში რუმინეთის ყოფილი მეფის სასახლე ამჟამად პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეა. რუმინეთის პიონერებს აქვთ თავიანთი გაზეთი „პიონერი“, რომელშიც ფართოდ შუქდება რესპუბლიკის პიონერთა ცხოვრება და მუშაობა.

„მუდამ წინ, ლენინ-სტალინის საქმისათვის სა-

ბრძოლველად!“ — ასეთია რუმინეთის პიონერთა დევიზი.

მრავალფეროვანი და საინტერესოა ჩეხოსლოვაკიის „ილნაკრთა“ ორგანიზაციის მუშაობა. პიონერები მრავალრიცხოვან იმისათვის, რომ შექმნან სკოლაში კარგი და მხიარული გარემო, აღზარდონ მცოდნე, კულტურული, პოლიტიკურად მომზადებული ბავშვები. პიონერები ეხმარებიან უფროსებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სერიოზული წარმატებები მოიპოვა ბავშვთა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც მრავალი წლის სახელოვანი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ 1925 წელს, ჩინეთის დიდი რევოლუციის პერიოდში, ქ. ცანში შეიქმნა ე.წ. მშრომელთა ბავშვების ორგანიზაცია, რომელიც ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი პირველი ბავშვთა ორგანიზაცია იყო. 1925-30 წლებში ჩინეთის საბჭოთა რაიონებში ქმნიდნენ პირველ რაზმებს, რომლებიც დღითიდღე იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ. ჩინეთის პიონერთა ცხოვრება და მუშაობა მჭიდროდა დაკავშირებული ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლასთან. უფროსებთან ერთად ნორჩი პიონერები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ ჩანკაიშის რეაქციული ხროვისა და იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რითაც უდიდეს დახმარებას უწევდნენ ჩინეთის წითელ არმიას.

ჩინეთის ხალხმა მრავალი წლის თავგანწირული ბრძოლების შემდეგ მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება — ჩინეთი სახალხო რესპუბლიკა გახდა.

1949 წლის ოქტომბერში ჩინეთის ახალგაზრდობის ახალდემოკრატიულმა კავშირმა მიიღო დადგენილება ჩინეთის ნორჩ პიონერთა კავშირის შექმნის შესახებ.

ჩინეთში პიონერთა რაზმულელები იქმნება სკოლებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლებში, ქალაქების ცალკეულ უბნებში.

ჩინეთის პიონერების დევიზია: „სამშობლოს მშენებლობისათვის, მათ ძე-ღუნის დიადი იდეების განხორციელებისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“

დღითიდღე უმჯობესდება ჩინეთის ბავშვების სწავლებისა და ცხოვრების პირობები.

სწავლისაგან თავისუფალ დროს ბავშვები ეხმარებიან უფროსებს ქვეყნის მშენებლობის საქმეში. ყოველდღე იზრდება ჩინეთის პიონერთა კავშირის რიგები და უმჯობესდება პიონერთა რაზმებისა და რაზმულელების მუშაობა.

დემოკრატიული ქვეყნების პიონერული ორგანიზაციები ზრდიან ბავშვებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბავშვებისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და სოლიდარობის ღრმა გრძნობით.

დემოკრატიული ქვეყნების ბავშვებმა კარგად იციან, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მანათობელ შუქურას მათი მომავალი ბრძოლისა და შრომის გასაწყობისათვის უსაზღვროდ უყვართ მათ ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი და კომუნისმის დიდი მედროშე, ბავშვების საუკეთესო მეგობარი მშობლიური სტალინი.





# ბავშვის მრუხათება



ვასილ სტეფანიკი გამოჩენილი უკრაინელი დემოკრატი მწერალია. იგი დაიბადა 1871 წელს სტანისლავის ოლქის სნიატინის რაიონის სოფელ რუსოვოში, გლეხის ოჯახში. სწავლობდა ჯერ სოფლის დაწყებით სკოლაში, შემდეგ კოლომიის პოლონურ გიმნაზიაში. თავისი ეროვნებისა და სოციალური წარმოშობის გამო სკოლაში განიცდიდა შევიწროებასა და დამცირებას გერმანელი მასწავლებლებისა და თანაკლასელი ბავშვებისაგან — პოლონელი შლიახტიჩების შვილებისაგან. იგი ხდება წევრი მღსწავლეთა ფარული წრისა, რომლის მიზანი იყო ხალხის ინტერესების დაცვა და მასში განათლების შეტანა. წრეში მუშაობისათვის, ბევრ სხვა თანამონაწილესთან ერთად, ვასილ სტეფანიკი გარიცხეს მეშვიდე კლასიდან. მან სწავლა განაგრძო დროგობრის გიმნაზიაში. ვასილ სტეფანიკი შემდეგ სწავლობდა კრაკოვის (პოლონეთი) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

ვასილ სტეფანიკის ნაწარმოებები პირველად გამოქვეყნდა გასული საუკუნის 90-იან წლებში. იგი წერდა დასავლეთ უკრაინის გლეხთა ცხოვრების შესახებ. ვასილ სტეფანიკი სინამდვილის უღმობელი რეალისტი მხატვარია — გლეხობის დუბჰირ ცხოვრებას ავგიწერს შეუფერადებლად, მთელი თავისი საშინელებით.

მაქსიმ გორკი მაღალ შეფასებას აძლევდა ნიჭიერი მწერლის ვასილ სტეფანიკის შემოქმედებას. წაიკითხეთ, ნახეთ, — ურჩევდა იგი ახალგაზრდა მწერლებს, — რა სხარტად, ძლიერად წერს ეს კაცი.

ვასილ სტეფანიკი გარდაიცვალა 1936 წელს.

საბჭოთა მკითხველმა ღრმად შეიყვარა მაშინდელი ჩაგრული გლეხობის გულის მესაიდუმლე მწერალი. წელს 80 წელი შესრულდა ვასილ სტეფანიკის დაბადებიდან.

ქვემოთ ვებქდავთ ნოველას „ბავშვის მრუხარება“, რომელიც დიდი მხატვრული ძალით გადმოგვცემს პირველი მსოფლიო ომის შემზარავ სურათს, ბრძოლის ველზე დაობლებული და სიკვდილის პირისპირ მდგარი უმწეო ბიჭუნას თვალით დანახულს.

ეს ნოველა დღესაც ძლიერად ისმის, როგორც ომის საწინააღმდეგო პროტესტი.

— ვასილოკ, მოჰკიდე ხელი ნასტიას და წაიყვანე ბიძასთან; აჯერ იმ ბილიკით, ტყვეს რომ გასდევს, შენ იცი. ოღონდ მსუბუქად დაუტვირე ხელი, ნუ ექაჩები, პატარაა; ხელში კი არ აიყვანო — ჯერ შენ ღონე არ გეყოფა.

უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ აუტანელმა ტკივილმა მოაკავა — დაწვა.

— აბა მე რა ვიცი სად წავიყვანო ღამე? შენ კვლები, ჩვენ კი შენთან დავრჩებით, დილას კი წავალთ. ხედავ, ნასტია, ტყვიამ იწივლა და მოკლა დედა. დამნაშავე

აი შენა ხარ; რასა ბლაოდი, როცა სალდათმა მოინდომა მოხვეოდა დედას? რა გენაღვლებოდა? ჩვენ მივრბოდით, ტყვიამ იწივლა... ახლა უკვე აღარ გეყოლება დედა, მოახლედ წახვალ...

აღარ ლაპარაკობს უკვე — მოკვდა. მე შემეძლო მაგრად მიმებეგვე, მაგრამ შენ ახლა ობოლი ხარ. აბა, რად გამოდგები? როცა ჩვენი მეზობელი ივანისა მოკვდა, მისი ქალიშვილები მოთქვამდნენ: „დედი, დედილო, სად გეძიოთ, საიდან მოგელოდეთ?“

ხოლო შენ არ შეგიძლია, მე კი ბიჭი ვარ და არ შემფერის მოთქმა...

შეხე, ჯარი შუქს უშვებს იმ ნაპირიდან, თითქო საცერიდან ცრიდეს წყალს, და უცებ დაიხახავს სადაა სალდათი, დაახლის ტყვიას, ის კი უცებ დაეცემა, როგორც დედიკო დაეცა. ჩქარა მოუწევი დედიკოს, თორემ ახლა წამოვა ტყვიები. გესმის, როგორ წივიან...

ეგერ, ხედავ, დნესტრის გაღმა სალდათები ცეცხლის ტყვიებს ისვრიან ცაში, მაღლა, მაღლა, ტყვია იწვის, იწვის, შემდეგ ქრება. თამაშობენ, უჰ, რამდენია!

შეხე, ზარბაზანი: გუ, გუ, გუ; მხოლოდ ის აღამიანებს არ ესვრის, აი ან ეკლესიას, ან სახლს, ან სკოლას.

შენ ზარბაზნის არასოდეს არ შეგეშინდეს. მისი ტყვია ისეთი დიდია, როგორც მე, ხოლო ბორბლები ისეთი აქვს, როგორც წისქვილს. ეჰ, შენ არაფერი არ იცი, შენ ჯერ სიარულიც გიჭირს, მე კი შემიძლია წიხლები ვყარო ცხენივით...

დედას ამოეფარე. ხედავ, ისევ უშვებენ ცეცხლს, მხოლოდ თეთრზე თეთრს, როგორც მარმაშია. ახლა ჩვენ მოგვაშუქებენ. ხედავ, რა თეთრები ვჩახვართ, ტყვიები კი წივიან. აი, როგორც კი მომხვდება ტყვია, მაშინვე დავწევი დედიკოს გვერდით და მოვკვდები; შენ კი მარტო ვერ მიაგნებ ბიძიას გზას. არა, ისევ შენ მოგკლას ტყვიამ, მე ვალწევ ბიძიასთან და ვეტყვი, ბიძია კი თქვენ ორივეს დაგმარხავთ.

ეჰ, აბლავლდა, ტყვია განა გატყენს? მხოლოდ დაიწვილებს, გაგიხვრეტს მკერდს, სული კი ამ ნახვრეტიდან ამოხტება — და მშვიდობით! სახლში კი არ გეგონოს თავი: გაცივებული რომ ხარ, არყითაც გზელავენ.

„მშია“... მაღლობა ღმერთს! აბა რა მოგცე, როცა დედა აღარაა. დედამ მოგცეს! აბა უთხარი დედას, უთხარი! რაო, არ პასუხობს

დედა? აიღე, აიღე მისი ხელი, ხელი ვიღავარდება. რაო, ხომ გითხარი? სულელო გოგო, დედას სული ამოეცალა. ეს კი იცო, რომ ლაპარაკობდა, პურს გასტყავდა, გცემდა კიდეც.

ნასტია, ღმერთმანი, მიგბეგავ. რა მოგცე საჭმელი? შენ ომს უტყვირე, ხედავ რა ლაპაზია, დილით კი ბიძიასთან წავალთ და ბორშის შევჭამთ. დაცე, მგონი, დედას უბეში პური აქვს... გაჩუმდი, დედას ჰქონია აური, ჰა, ჰაჰე, შე ღორმუცელა გომბიო!

ისევ უშვებენ მარმაშს, ხედავ, თოვლივით თეთრს. აგერ ჩვენცენ მოდის! ნასტია, რა მოგივიდა? ვაიმე, პირი სულ სისხლიანი გაქვს, ხელებიც. ტყვიამ მოგკლა? ოი, საბრალო ნასტუნკა, დაწევი ჩქარა დედიკოს გვერდით... რას იზამ...

აჰ, არა, შენ ტყვიას კი არ მოუკლავხარ, ეს პური დასველებულა სისხლით დედიკოს უბეში. აი საზიზღარი გომბიო, ყველაფერს ღორივით თქვლევს. შეხე, სულ გათხუზუნულა, ხელებიც სისხლიანი აქვს... როგორ გაგატარო დილას სოფელში ასე მოთხუზული? აი, დამაცადე, როცა დელესთან გავივლით, ისეთი ცივი წყლით დაგბან, სულ გაღრიალე, კიდევაც მიგბეგავ.

გაძეხი? აბა, მამ დაწევი დედიკოს გვერდით, მე კი შენ გვერდით დავწევები. შენ შუაში იქნები და მგელი არ შეგჭამს. დაიძინე, მე კი ცოტა ხანს კიდე ვუყურებ ომს, შენ გათბი ჩემ გვერდით...


იქნებ ტყვიამ მამაც მოკლა თმში, შეიძლება დილაძე მეც მომკლან, ნასტიაც, და მაშინ აღარავინ, აღარავინ აღარ დარჩება...

ჩაეძინა. დილაძე სინათლის თეთრი საბურველი თრთოდა მათ თავზე და ნელ-ნელა მიიწევა დნესტრის იქით.

თარგმნა ვლადიმერ თორღუაშვილი

825





# ერთი სოფელი ორ

## სახელმწიფოში

ნაკვეთი

ინხ. ლავითაშვილი

მათი ფერდობზეა შეფენილი სოფელი სარფი. იგი თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. 1921 წელს სახელმწიფო საზღვარმა ორ ნაწილად გააცალკევა ოდითგანვე ერთიანი ლაზური სოფელი. ერთი ნაწილი თურქეთში, მოქცა, მეორე კი საბჭოთა საქართველოში.

საბჭოთა სარფი ბედნიერად ცხოვრობს. აქ არის ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები. სარფის კოლმეურნეობა მილიონერია. მას აქვს საკუთარი ჰიდროელექტროსადგური, რადიოკვანძი, სკოლა, ფოსტა, კლუბი, კინო, აბანო... კოლმეურნეებს მშვენიერი ახალი საცხოვრებელი სახლები აქვთ. სოფლის დაწესებულებებში მუშაობს ადგილობრივი ინტელიგენცია: აგრონომები, პედაგოგები, ექიმები.

ლაზები ქართველები არიან.

მაგრამ თურქეთის მმართველები ცდილობენ წაართვან ლაზებს მათი მდიდარი მრავალსაუკუნოვანი კულტურა. მშობლიურ ენაზე ოაპარაკსაც კი უკრძალავენ მათ.

თურქეთის მთავრობა მარტო ამით როდი კმაყოფილდება. მან ქართველები მამაბაპისეული საუკეთესო მიწებიდან, ანატოლიის ჭაობიან გარეუბნებში გადაასახლა. და თუ თურქეთის მთავრობამ ჯერ კიდევ დატოვა ქართველები სარფის თურქულ ნაწილში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სურს თავი ისე მოაჩვენოს ხალხს, თითქოს ყურადღებით ეპყრობა ეროვნულ უმცირესობას, ამით თვალს უხვევს, ატყუებს ხალხს.

აი, ახლა მე რამდენიმე ნაბიჯი მამორებს პატარა მდინარე ტიბამისაგან, რომელიც

ორი სამაყროს საზღვარზე მიიკლავება. აქედანაც ნათლად ჩანს, რარიგ უბადრუკია თურქეთის სარფი. ველურ, ტყიან გორაკებზე საცოდავად მიყუჟულან ძველი გაძარცული ქოხნახები. ირგვლივ სარეველა ბალახით გაჩანაგებული სიმინდის ყანების მწიერი ნაკვეთებია. აბა, რა მოსავალს მისცემს კაცს ის! პირუტყვივით მუშაობენ მემამულეთა მიწებზე საზღვრისიკითა სარფის მცხოვრებლები და მოჯამაგირეები. გლეხებს ძონძები აცვიათ, მათი უმრავლესობა ფეხშიშველი დადის.

საბჭოთა სარფელები კი, სახელმწიფოს დახმარებით, თავიდანვე შეუდგნენ სუბტროპიკული კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს — გაშენებას. სოფელმა მალე იცვალა სახე.

ჩვენ ვათვლიერებთ საბჭოთა სარფის მიწა-წყალს — უხვმოსავლიან ჩაის პლანტაციებს, ციტრუსოვანთა ბაღებს. თვალს ახალისებს ფორთოხლისა და მანდარინის ხეები.

სოფლის თურქულ ნაწილში არის ოთხკლასიანი სასწავლებელი, სადაც ლაზ ბავშვებს ასწავლიან თურქულ ენას.

— განა ეს სკოლა! — ამბობენ საბჭოთა სარფის ბავშვები და უთითებენ მედრესის\*) პატარა, უფერულ შენობაზე, რომლისკენაც მიემართებიან ბავშვები უწიგნოდ, უჩანთოდ.

მოხუცებმა, რომლებსაც ოდესღაც მოუხდათ სწავლა მედრესში, იციან, რომ იქ, როგორც წინათ, სასარგებლოს არაფერს არ ასწავლიან, მხოლოდ ყურანს აზეპირებინებენ.

\*) თურქული სკოლის სახელია



საბჭოთა სარფში კი სულ სხვა ცხოვრებაა. სუბტროპიკული კულტურების უხვი მოსავალი დიდ შემოსავალს აძლევს ჩვენს სარფელებს. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები ავითეულ შრომადღეზე, სხვა პროდუქტების გარდა, ღებულობენ 30 მანეთს ფულად და ხუთ კილოგრამ მარცვლეულს.

აი მეციტრუსე კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი მუჰამედ კახაილი. მუჰამედის ოჯახმა 1.700 შრომადღეში, რაც შარშან გამოიმუშავა, მიიღო 49.000 მანეთს ფულად და 8500 კილოგრამი მარცვლეული. თუ ამას მივუმატებთ საკარმიდამო წაკვეთიდან მიღებულ დიდ შემოსავალს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიმდიდრე არ გააჩნია სარფის თურქული მოსახლეობის ნახევარს, ერთად აღებულს.

კოლმეურნე ქალი ზელიხა მემიშივიც სოციალისტური შრომის გმირია.

თურქულ სარფში ქალი, როგორც ასეული წლების წინათ, ახლაც უფლებო მონაა. საბჭოთა სარფში კი ქალი სოციალისტური საზოგადოების სრულუფლებიანი მშენებელია.

ჩვენ ვზივართ რიგითი კოლმეურნის მუჰამედ ნარაჰიდის სახლში. კოლმეურნეობაში გამოიმუშავებული შრომადღეებით მუჰამედმა შესანიშნავი ორსართულიანი სახლი აიგო და მშვენიერი ავეჯით მორთო. მუჰამედის სახლში ნახავთ წიგნის კარადას, რადიომიმღებს, კედლებზე — მხატვრული გემოვნებით შესრულებულ სურათებს, ფანჯრებზე — ძვირფას ფარდებს, ქოთნებში ჩარგულ ყვავილებს...

მუჰამედის უმცროს შვილს მუსტაფას დამთავრებული აქვს საშუალო სკოლა და ბუნებრივად მუშაობს კოლმეურნეობაში, დანარჩენი ვაჟები — ავთანდილი და ოთარი — თბილისში სწავლობენ. ავთანდილი საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტია, ოთარი კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. ქალიშვილი ლიანა სარფის სკოლაში სწავლობს.

ნარაჰიდის ოჯახში გავეცანით აგრეთვე ასპირანტ ნარაჰიდის ცოლს ხატიჯეს. იგი სამი შვილის — ცილას, ვახტანგისა და ზაურის — დედაა. ხატიჯე ცნობილია სოფელში როგორც ჩაის ფოთლის ერთ-ერთი საუკეთესო

სო მკრეფავი. როცა მუჰამედ ნარაჰიდის სახლში გაიძაროთ, ხატიჯემ სიამაყით გვეჩვენა საწერ მაგიდაზე დადგმული როკოსოვსკის პორტრეტი, რომელსაც მარმლის საკუთარი ხელით გაკეთებული აქვს წარწერა: „ერთგულ ოფიცერს, უფროს ლეიტენანტს ნარაჰიდს“. ავთანდილი სამამულო ომის წლებში თავდადებით იბრძოდა. იგი იმყოფებოდა იმ ფრონტზე, რომელსაც მათშალი როკოსოვსკი სარდლობდა.

— მართლაც ბედნიერი მოხუცი ვარ, — თქვა მუჰამედმა, — არაფერი არ გვაკლია... ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მოხუცმა დასძინა: — აი, მხოლოდ გაღმა ნაპირზე მცხოვრები ჩვენი ძმები გვებრალებს.

— ხედავ ძველ წაფერებულ ქოხს, — ხელს იშვერს მუჰამედი მდინარის გაღმისაკენ. — იმ ქოხმაში ცხოვრობს ჩემი ბიძაშვილი რამიდ ჩაკირ-ოღლი. ახლა შეუძლებელია ჩვენი შესხედრა, ორიოდ სიტყვით გამოლაპარაკება, მაგრამ მაინც ვგრძნობ მის ბედშობას — რამიდის სახლიდან უკვე მეცამდე დღეა კვამლი არ ამოსულა! მე ვიცი, რომ მას მოსახარშავი არაფერი გააჩნია. და განა მართო რამიდი არ ანთებს ცეცხლს! აი მის გვერდით მოხუც შიშმან-ოღლის სახლია, ხომ ხედავთ, როგორი ჩამოქეცილია — სახურავი, რომელიც ოდესღაც ლაფანისა იყო, ამჟამად სულ დაცხრილულია... ან კიდევ ავიღოთ თანთ-ოღლი და ბათალ-ოღლი. მათი სახლები უკვე დიდი ხანია დაინგრეოდა, ყოველი მხრიდან რომ სარები არ ჰქონდეს შედგმული. ბათალ-ოღლის ფარდული დაენგრა, უფარდულოდ კი გლეხმა რა ქნას? ცხადია, რომ ბათალ-ოღლის ოჯახი საბოლოოდ გაპარტახდა...

\*\*\*

როცა საღამოს მუჰამედის სახლში აინთება ელექტრომუქი და მისი ქალიშვილი ლიანა რადიომიმღებს ჩართავს, რომელიც მიდამოს ჰფენს გამამხნევებელ სიმღერებს, ხალხურ მუსიკას, გაღმა ნაპირზე ძლივსა ბუუტავენ ნამცეცა საჩემლებში ქონის ჭრაქები...

ერთი სოფელია, ერთისა და იმავე სახელწოდებით, ერთნაირი ბუნებრივი პირობებით, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის!



# საიდუმლოება

საქართველო  
საბჭოთაო



მარგო ჭივიჭილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

გაისმა საყვირის ხმა. გათენება ეუწყა პიონერთა ბანაკს. ნელი და თინა აივანზე გამოვიდნენ. აივნის ჭერზე მერცხლებს ბუდე ქონდათ მოწყობილი. ფრთოსნებს ჭიანჭველა მოჰქონდათ ბარტყებისათვის, რომელთაც ოდნავ გამოეშვირათ ბუდიდან ყვითელნისკარტიანი თავები.

— შეხედე თინა, აქაც გაუკეთებიათ ბუდე! — წამოიძახა ნელიმ.

— ახლა დაინახე? ჩვენ მაგათ სახელებიც კი შევარქვით. აი იმათ, — თითო გაიშვირა თინამ აივნის ჭერის ბოლოსაკენ, — ჭიკჭიკები შევარქვით. ამათ კი ლამაზ ბუდეებს რომ თავს დასტრიალებენ, — კუდრაჭები. კუდრაჭების ბუდე უფრო დიდია, მაგარი და ლამაზიც, ჭიკჭიკებისა კი ოღროჩოღროა, შეუღესავი, არც ისე მკვრივი სჩანს, აბა დააკვირდი!

— ჭიკჭიკებმა რატომ ვერ გააკეთეს კარგი ბუდე, იზარმაცეს არა?

— მერცხალი და სიზარმაცე?

— მაშ, რატომ ვერ გააკეთეს? ალბათ უნიჭოები არიან, არა?

— ჰმ! უნიჭო! — გაიკვირვა თინამ. — მე კი ვფიქრობ, რომ ჯერ ბავშვები არიან, გამოუცდელები. თუმცა... რა ვიცი, იქნებ იზარმაცეს კიდევ შენსავით — შეგიძლია ხუთებზე ისწავლო, შენ კი სამებს ლებულობ...

— ზარმაცი! შენ საიდან იცი, რომ მე ვზარმაცობ.

— რა ცოდნა უნდა! ჩაიხედე დღიურში, სამები გიწერია.

ხელი ჩაფიქრდა. დაღონდა. ერთხანს ვერაფერი უპასუხა უფროს ამხანაგს. მერე უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, შესძახა:

— მე არ შემიძლია ხუთები მივიღო?

— რატომაც არა! — მშვიდად უპასუხა თინამ.

— მაინც როგორ?

— აი როგორ: განიმეორე განვლილი გაკვეთილები, მასწავლებელს კარგად დაუგდე ყური, ყოველდღე კარგად მოამზადე გაკვეთილი, გაკვეთილის სწავლას თავს ნუ დანებებ, სანამ კარგად არ დარწმუნდები მის შეთვისებაში. ასე სისტემატურად რომ იმეცადინებ, სუთოსანიც გახდები. პირველ ხანებში შეიძლება ისე ჩქარა ვერ შეითვისო, მაგრამ შემდეგში უსათუოდ ადვილად და კარგად ისწავლი გაკვეთილებს.

— განა არ მიცდია?! წელს გაზაფხულზე ბევრი ვიმუშავე ამოცანებზე, ბევრი ვეწვალე, მაგრამ, ხომ გახსოვს, შენს დაუხმარებლად ვერ გამოვიყვანე.

— მახსოვს, მაგრამ წინა ამოცანები არ გქონდა გამოყვანილი. როცა გახვლილი არ იცი, ახალს ვერ გადაწყვეტ. აი, ამიტომ არის საჭირო ძველის განმეორება და გაკვეთილის ყოველდღიურად მომზადება. თუ რაიმეს ვერ გაიგებ, დაგეხმარები.

— თინა, რატომ კუდრაჭები არ დაეხმარნენ ჭიკჭიკებს ბუდის გაკეთებაში? რომ დახმარებოდნენ, ჭიკჭიკებსაც კარგი და ლამაზი ბუდე ექნებოდათ, არა? ხედავ! კუდრაჭები ყოველ წუთში მოდიან თავიანთ ბარტყებთან და ასაზროლებენ მათ, ჭიკჭიკების ბარტყებს კი სული ელევით ლოდინით. შეხედე, როგორ დაღონებული არიან. ალბათ შიათ. ერთი კი არ მომწონს კუდრაჭების, რა იქნება ერთხელ მაინც ჭიკჭიკების ბარტყებსაც მოუტანონ საჭმელი, ხომ



პლაკატი—„მოსწავლეთა სიმამაცე და გმირობა ფრიაღზე სწავლა“. რამდენჯერმე წაიკითხა ეს სიტყვები, გულზე მოსწავლეთა არც გმირი ვარ და არც მამაცი, რატომ? პასუხი რომ ვერ გაცა ამ კითხვას, თითქოს შერცხვავო, თვალი მოარიდა პლაკატს. მასში თითქოს უეცარი გარდატეხა მოხდა — „მეც უნდა გავხდე გმირი და მამაცი“, გადაწყვიტა მან. მის სახეს გაბედული და მტკიცე ადამიანის იერი მიეცა. მას ამ წუთს აღარაფერი არ აინტერესებდა გარდა იმისა, შეძლებდა თუ არა გამხდარიყო მამაცი და გმირი.

მოითხოვა არითმეტიკის წიგნი, შეუდგა მუშაობას. რამდენი ფურცელი ქალაქი დახარჯა, რამდენი დრო, მაგრამ ვერ გამოიყვანა ამოცანა. დაუძახა თინას, სთხოვა დახმარებოდა. თინამ აუხსნა, განუმარტა, მისცა ახალი გაკვეთილი. ნელი კვლავ შეუდგა მუშაობას. აი იყვანს ამოცანას. დაასრულა. დახედა პასუხებს, სიხარულით წამოიძახა, „სწორია!“ ამ წუთს, ვისაც არ უნდა შეეხებოდა მისთვის, იტყოდა — რა ბედნიერია ეს ბავშვი, რა დიდ სიხარულს განიცდის, რა კმაყოფილებით სავსე სახე აქვს, რა მშვენივრად უბრწყინავს თვალებით. რა მოხდა ისეთი? ამოცანა გამოიყვანა. ნელიმ იმ დღეს ყველა ტიპიური ამოცანა გადაწყვიტა. „რა კარგია არითმეტიკა, რა საყვარელია!“ — ამბობდა იგი.

ბანაკში ყოფნის დროს მან ყველა განვლილი გაკვეთილი კარგად შეისწავლა და ყველა შეუყვარდა. ის გრძნობდა, რომ ასეთი სიხარული არასოდეს არ განუცდია.

\*\*\*

ნელიმ მიადწია თავის მიზანს, ხუთოსანი მოსწავლე გახდა.

— სიბეჯითე! აი, თურმე სად ყოფილა ხუთოსნობის საიდუმლოება! — თქვა მან.



## სამკურნალო წყარი

ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის ლამაზი ბუნების წიაღში გეოლოგები გათხრას აწარმოებდნენ. მოულოდნელად მიწიდან ამოსჩქევა ცხელი სითხის რამდენიმე მეტრის სიმაღლის შადრევანმა.

გეოლოგებმა თბილისიდან მოიწვიეს სწავლულები, რათა მათ დაწვრილებით შეესწავლათ ახალი წყაროს თვისებები.

კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპედიციამ ცაიშის წყარო მიაკუთვნა გოგირდწყალბადის ტიპს. მისი გამოყენება შეიძლება სამკურნალოდ. ჰაბუ-რლილი იძლევა 500 ათას ლიტრამდე წყალს დღეღამეში. ამოხეტილი სითხის ტემპერატურა 80 გრადუსია. ასეთი ტემპერატურის წყაროები იშვიათად გვხვდება.



## ანტონ მაკარენკო

სახელოვანი საბჭოთა მწერლისა და პედაგოგის ანტონ მაკარენკოს (1888-1939) საზოგადო მოღვაწეობა ადამიანის აღზრდისა და გარდაქმნის შესახებ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ძლიერმოხილი იდეების პრაქტიკული განხორციელების ერთ-ერთ საუცხოო ნიმუშს წარმოადგენდა. პოპულარულ „პედაგოგიურ პემასა“ და სხვა ღირსშესანიშნავ მხატვრულ და მეცნიერულ ნაშრომებში ა. მაკარენკომ დაგვიჩაჩა ის საოცარი და გმირული მუშაობის პროცესი, რომელსაც იგი 17 წლის განმავლობაში ეწეოდა მცირეწლოვან დამნაშავეთა გამოსწორებისა და ჩვენი ქვეყნის სასარგებლო ადამიანებად მათი გარდაქმნის მიზნით.

დიდი საბჭოთა მწერალი მაქსიმ გორკი, რომელიც პირადად გაეცნო ა. მაკარენკოს პედაგოგიურ მუშაობას, 1928 წელს ალტაცებით სწერდა მას: „უდიდესი მნიშვნელობისა და განსაკუთრებული წარმატების მქონე თქვენს პედაგოგიურ ექსპერიმენტს, ჩემი აზრით, მსოფლიო მნიშვნელობა აქვს... თქვენ მშვენიერ საქმეს აკეთებთ და შესანიშნავი ნაყოფი უნდა გამოიღოს მან“.

ანტონ სამსონის ძე მაკარენკო დაიბადა 1888 წელს ხარკოვის გუბერნიის ქალაქ ბელოპოლესში, რკინიგზის სახელოსნოს მუშის ოჯახში. პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობა დაიწყო 1903 წლიდან, საქალაქო სასწავლებლისა და ერთწლიანი პედაგოგიური კურსების დამთავრების შემდეგ. იგი მასწავლებლობდა რკინიგზის ორკლასიან სასწავლებელში, რომლის მასწავლებელთა კოლექტივი ჩაბმული იყო რევოლუციურ მუშაობაში. ანტონ მაკარენკოც ადრე იწყებს რევოლუციურ ბრძოლას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

1914 წელს მაკარენკო შედის პოლტავის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1917 წელს; ამავე წლიდან იწყებს მალაღაწეებითი სკოლის ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობას.

1920 წლიდან იწყება მაკარენკოს ცხოვრებაში ახალი, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის უველაზე ნაყოფიერი პერიოდი. მას მიანდევს მცირეწლოვან ბოროტ-

მოქმედთა კოლონიის ძველ შენობაში ახალი საბჭოთა კოლონიის შექმნა. ეს შენობა პოლტავიდან 6 კილომეტრზე იყო. იგი თითქმის ნანგრევებს წარმოადგენდა. აქ მაკარენკოს ხელახლა უნდა აღეზარდა ალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად უმთავლესურდ დარჩენილი და ნორმალური ცხოვრების გზიდან ამცდარი ბავშვები.

მეტად მძიმე პირობებში მოუხდა ანტონ მაკარენკოს მუშაობის დაწყება. მდგომარეობა, როგორც თვითონ აღნიშნავს, თითქოს გამოუვალი იყო. ახალი ადამიანების აღზრდაში მას არ გამოადგებოდა ძველი გამოცდილება, ახალი გამოცდილება კი არავის ჰქონდა, წიგნებიც არ იყო; მაკარენკო მაინც იმედიანად შეუდგა მუშაობას.

პირველი შევსება მცირეწლოვან დამნაშავეთა კოლონიამ, რომელსაც მაქსიმ გორკის სახელი ეწოდა, 1920 წლის დეკემბერში მიიღო. აღსაზრდელები უკვე 17-18 წლის ასაკს მიღწეული ქაბულები იყვნენ, რომელთაც მეტად არასახარბილო წარსული ჰქონდათ: ქურდობა, ძარცვა, კაცისკვლა. ანტონ მაკარენკომ შესძლო ეს აღსაზრდელები თავის გავლენის ქვეშ მოექცია. კოლონიის რიცხობრივ ზრდასთან ერთად მაკარენკო ღრმად უკვირდებოდა საკუთარ გამოცდილებას და აყალიბებდა ახალ პედაგოგიურ მეთოდებს. 3 წლის განმავლობაში მან უკვე კარგად ორგანიზებული ახალგაზრდათა კოლექტივი შექმნა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ანტონ მაკარენკო არასოდეს არ უყურებდა მცირეწლოვან დამნაშავეებს როგორც ბოროტმოქმედსა და გამოუსწორებელ ადამიანებს. საკმარისია ჩავაყენოთ ისინი ცხოვრების ნორმალურ პირობებში, წავუყუთოთ გარკვეული მოთხოვნები და მივცეთ საშუალება ამ მოთხოვნების შესრულებისა, და ეს ბავშვებიც ჩვეულებრივ ნორმალურ ადამიანებად გადაიქცევიანო, — ამბობდა მაკარენკო.

„ძნელად აღსაზრდელ“ ბავშვთათვის მაკარენკოს გამოყენებული ჰქონდა, როგორც თვითონ უწოდებდა, აფეთქების მეთოდი. აფეთქების სახით იგი გულისხმობდა ძლიერ ემოციურ ზემოქმედებას, რომელიც ადამიანის მისწრაფებებსა და სურვილებს ერთბაშად უცვლის მიმართულებას. მაგალითად, მაკარენკო ახალ მოსახლებას — მატარებლის ვაგონებიდან გადმოსულ ბავშვებს — კომუნაში ზეიმი ღებულადა, როგორც სასურველ, საყვარელ წევრებს. ორკესტრის საზეიმო მარშით მიემართებოდნენ ქუჩუკიანი და ფეხშიშველი პატარა „დამნაშავენი“, თეთრსაყელიანი კომუნარების მწკრივებს შორის, თავიანთი ახალი საცხოვრებლისაკენ. ადგილზე მისვლისთანავე, გაკრეკილი და დაბანილი, ღებულოდნენ კომუნარის საზეიმო თეთრსაყელიანი ფორმას და იწყებდნენ ახალ ცხოვრებას. ასეთი საზეიმო შეხვედრით გაოცებული ბავშვები ცდილობდნენ მალე დაეწეებოდათ თავიანთი წარსული და კომუნის ნორმალური ცხოვრების მონაწილენი გამხდარიყვნენ.

16 წლის განმავლობაში ერთისა და იმავე ტიპის დაწესებულებაში მუშაობდა მაკარენკო — 8 წელი მუშაობდა მაქსიმ გორკის სახელობის შრომის კოლონიაში და 8 წელი კი ფელიქს ძერუჟინსკის სახელობის კომუნაში. იგი ნამდვილი ადამიანური სიყვარულითა და გულმოდგინებით ეკიდებოდა მცირეწლოვან დამნაშავეთა აღზრდის საქმეს და მათგან ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას მრავალი ასეული ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე მისცა.



როგორც მაქსიმ გორკის სახელობის კოლონია, ისე ძერჟინსკის სახელობის კომუნა ერთ მთლიან კოლექტივს წარმოადგენდა, რომელშიც იზრდებოდნენ ახალი ადამიანები.

კოლექტიური აღზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ საშუალებად მაკარენკოს შეგნებული დისციპლინა მიაჩნდა. კოლექტივის მთლიანობისათვის დისციპლინა აუცილებელი პირობაა. შეგნებული დისციპლინა არის სრული დარწმუნება საკუთარ მოვალეობასა და უფლებებში, საკუთარ შესაძლებლობებსა და მიმართულებებში.

ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის მთავარ საფუძვლად მაკარენკოს შრომა მიაჩნდა. მაქსიმ გორკის სახელობის კოლონიაში მას შესანიშნავი ორგანიზებული მეურნეობა ჰქონდა, ხოლო ფელიქს ძერჟინსკის სახელობის კომუნაში — კიდევ უფრო მოწინავე წარმოება. ძერჟინსკის სახელობის კომუნარები სწავლობდნენ ნორმალური ტიპის ათწლიანობაში და ამავე დროს დღეში 4 საათს მუშაობდნენ წარმოებაში. კომუნარები უშვებდნენ „ფედის“ ტიპის ფოტოაპარატებს, ასეთ აპარატს კი 300 დეტალი აქვს და 0,001 მილიმეტრის სიზუსტის დაცვას მოითხოვს. ასეთ სიზუსტეს მათ შრომის ტექნიკის მთლიანად გაუმჯობესებით მიაღწიეს. მათი წარმოება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იყო მოწყობილი.

სწავლების პროცესი, პროდუქტიულ შრომასთან დაკავშირებული, აყალიბებს და აკეთილშობილებს ადამიანის პიროვნებას, ამასთან ამ მეთოდით ისპობა დაპირისპირება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის და ვლდებულობთ ყოველმხრივ განვითარებულ მოქალაქეებს.

ყველა ეს და მრავალი სხვა შესანიშნავი გამოცდილება ბავშვთა აღზრდისა მაკარენკომ ბრწყინვალედ გამოგვცა თავის ნაწერებში. მისი „ბაირადები კომუნებში“, ისევე როგორც „პედაგოგიური პოემა“, უმთავრესად მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. საერთოდ მაკარენკოს წიგნები დიდი გაცხებიითა და სიამოვნებით იკითხება.

ანტონ მაკარენკომ დიდი პედაგოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. დაინტერესებული მასწავლებლები და მშობლები აღზრდის თითქმის ყოველგვარ საკითხზე პოულობენ პასუხს მაკარენკოს ნაწარმოებებში. ახალგაზრდა მწერლებს შეუძლიათ ისწავლონ მაკარენკოსაგან, როგორ უნდა ემსახურებოდეს მხატვრული ლიტერატურა ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანებს.

**ნელი ზოდელაპა - ჩხიძე**



ეს რა კარგი დარი არის, მზე იცინის სხივგაფენით, სათვალავი არ აქვს ფუტკარს, მინდვრებიდან აქ მოფრენილს.

კოლექტიურ შრომის გუგუნს აუნთია მათი კერა, თითქოს ისმის პაწაწინა ჩონგურების ნაზი ქლერა.

ფუტკრები გარს ეხვევიან აყვავებულ პლანტაციებს, ცაცხვის ხეს და იასამანს, იონჯას და აკაციებს.

რიგი მიდის, რიგი მოდის, გახსნილია ყველა კარი და ნელ-ნელა ფიჭის თასებს აავსებენ ტკბილ ნექტარით.

ამ სკას თავი გადავხადოთ, შეუკომლე, ბიჭო, გელა, უკვე თაფლით გაუვსიათ საკუჭნაოს ჩარჩო ყველა.


ეს მამალი უკვე გახდა გასაკიცხი, დასაგომბი, თაფლი უნდა გაუმადლარს ერთ იჯრაზე ერთი გობი.

თავი მოაქვს, ლალად ბზუნს, ვითომ გმირი ვაჟკაცია, თავს შრომისთვის არ იწუხებს, ჭამაში კი მამაცია.

აი, კიდევ გამორეკეს, მივეშველოთ ერთი ჩვენაც. არასოდეს მუშა ფუტკრებს არ დარჩება ეს საწყყენად.

არ სჩვევიათ დაარღვიონ დადგენილი განაწესი: „ვინც არ შრომობს, ის არცა ჭამს!“ ასეთია მათი წესი.

აღ. ჯაფარიძე



# ჩვენი სამშობლოს ზღვების ს ი მ ლ ი ლ რ ე

ჩვენი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის — საზღვრების ორი მესამედი ზღვებზე გადის. 47 ათას კილომეტრზეა გადაჭიმული ჩვენი დიდი ქვეყნის საზღვაო საზღვარი. ბარენცის, თეთრი, კარის, ლაპტევევის, ოხოტის, აზოვისა და არალის ზღვები მთლიანად საბჭოთა კავშირის ტერიტორიაში შედის, ხოლო ბალტიის, შავი, კასპიის, იაპონიის, ბერინგისა და ჩუკოტკის ზღვების სანაპირო ხაზის დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირს ეკუთვნის.

ძველთაგანვე აწარმოებდნენ რუსი მეზღვაურები ზღვების შესწავლას. მათ თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით ამ მხრივ, ხოლო საბჭოთა მეცნიერებმა და მეზღვაურებმა უფრო მეტი გააკეთეს ჩვენი სამშობლოს ზღვების შესწავლის საქმეში, ვიდრე ყველა საზღვაო ექსპედიციამ წარსულში.

ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის 60 პროცენტზე მეტი შეუსწავლელი იყო და რუკაზე იგი თეთრი ლაქებით აღინიშნებოდა. 1945 წლისათვის რუკაზე თეთრი ლაქები ძალიან ცოტა იყო, და შორს არ არის ის დრო, როდესაც პოლარული ქვეყნების საბჭოთა მკვლევარები უკანასკნელ თეთრ ლაქასაც წაშლიან.

საბჭოთა მეცნიერებმა შეისწავლეს ზღვის ბინადართა ცხოვრება, ამოხსნეს ზღვის ცხოველთა სამყაროს საიდუმლოება, აღმოაჩინეს სარეწაო ნედლეულის ახალი სახეები. ისინი ზღვებისა და ოკეანეების უთვალავ საგანძურს აღამიანებისათვის სასარგებლოდ ხდიან.

უდიდესი სიმდიდრე აქვს ზღვებს. მარტო ჩვენი თევზის მოპოვება ყოველწლიურად 20 მილიონ ცენტნერს უდრის. მაგრამ ზღვები მდიდარია არა მარტო თევზით, — მათში ათასობით სხვა ცოცხალი არსებაა. ზღვებში ბინადრობენ დედამიწის ცოცხალ არსებათაგან ყველაზე უდიდესი ცხოველები — ვეშაპები.

ჩვენი სამშობლოს ზღვებში ყველაზე დასავლეთით მდებარეს — ბალტიის ზღვას — ბევრი წყალუბვი მდინარე ერთვის და ძლიერად ამტკნარებს მას. განსაკუთრებით ეს ითქმის ფინეთის, ბოტნიისა და რიგის უბეებზე. ამის გამო ამ უბეებში არა მარტო ვხვდებით მტკნარი წყლების თევზებს, არამედ ისინი აქ ბინადრობენ და მრავლდებიან; განსაკუთრებით ფარგა, კაპარტინა და კობრი. ბალტიის ზღვა განთქმულია სარეწაო მნიშვნელობის მქონე ზღვის თევზებით — ქაშაყითა და ვირთევზათი. ამათ გარდა აქ იჭერენ სალამურას, ორაგულს, სიგს, ჭიჭყინას, კამბალასა და სხვა თევზებს.

მეტად მრავალფეროვანია შორეული აღმოსავლეთის ზღვების ცოცხალ არსებათა სამყარო. მარტო იაპონიის ზღვაში 600 სახის თევზია, ბერინგის ზღვაში 300-ზე მეტი სახისა. ბევრ მათგანს სარეწაო მნიშვნელობა აქვს. შორეული აღმოსავლეთის ზღვებში მრავლდებიან სალამურა, ნათელთევზა, სკაროსი, ქაშაყი, სარდენი, სარდალა თევზი, ვირთევზა, კეფალი, ციმბირის ორაგული, ზღვის ჩიქვი, სკომბერი და სხვადასხვა სახის კამბალები და კარიდები.

ამ ზღვებში ნადირობენ ვეშაპებზე, ზღვის კატებზე, სელაპებზე, ზღვის წავებზე. ყოველწლიურად მიიმართება ზღვაში ვეშაპებზე მონადირე, ზარბაზნებით შეიარაღებული ფლოტილია. ფლოტილიას თან ახლავს განსაკუთრებით მოწყობილი ხომალდი, რომელზედაც საჭირო მანქანებია. ეს ხომალდი მცურავ ქარხანას წარმოადგენს. ამ ქარხანაში სათანადო მანქანებით წარმოებს ვეშაპების გამოყვანა-გადამუშავება. მანქანა ვეშაპს აცლის 50 სმ სისქის ქონს. ვეშაპის ხორცა, რომელიც ხშირად 50 ტონას იწონის, მიაქვთ საკონსერვო განყოფილებაში, ძვლებსა და შიგნულობას კი ნიადაგის სასუქის დასამზადებ-

ლად იყენებენ. ვეშაპის ჯირკვლისაგან ამზადებენ სამედიცინო პრეპარატებს.

საბჭოთა მეცნიერებმა გამოიმუშავეს საშუალება ვეშაპის ტყავის გამოსაყვანად. დიდი ვეშაპის ტყავიდან დაახლოებით ფეხსაცმლის შვიდი ათასი ლანჩა გამოიჭრება.

ამით არ განისაზღვრება შორეული აღმოსავლეთის ზღვების სიმიდრე. აქ იჭერენ კამჩატკის ცხრაფეხებს, სხვადასხვა კიბოს, სიპინებს — ხამანწყებსა და რვაფეხებს. აქ იზრდება სხვადასხვა სახის წყალმცენარე, რომლებიც გამოიყენება საკვებად და, განსაკუთრებით, სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად.

ჩვენს სამხრეთის ზღვებს საინტერესო ისტორია აქვს. მრავალი მილიონი წლის წინათ შავი, კასპიის, აზოვისა და არალის ზღვები ერთ მთლიან ზღვას წარმოადგენდნენ. ის ძლიერ მტკნარი იყო. შემდეგ მოხდა დედამიწის ზედაპირის ამოწევა და ზღვა დასაწილდა. ყოველივე ამან თავისი კვალი დააჩნია ამ ოთხი ზღვის ცხოველთა სამყაროს. არალის ზღვა, რომელიც მდინარე უზბოით იყო დაკავშირებული კასპიის ზღვასთან, მდიდარი იყო მტკნარი წყლის ცხოველებით, მაგრამ როგორც კი მოისპო მდინარე უზბოი, არალის ზღვა ჩაიკეტა. მან იწყო გამარილიანება. მტკნარი წყლის ბევრი ბინადარი ვერ შეეგუა მარილიან წყალს და დაიღუპა. აი, ამიტომ არ არის არალის ზღვაში ტიპობრივი ზღვის თევზები. აქ იჭერენ ნაფოტას, კობრს, კაპარჭინას, ლოქოს, ჭერეხს, ფარგას, წვერას, ფორეჯსა და სხვა თევზებს.

ყველაზე მეტად კასპიის ზღვაში შემოინახა ძველი



თორუკი



ბველოვზა



ქამბალო

სკაროსი



ზღვის ქორჭილა



გრენლანდიის  
ვეშაპი



კამჩატკის ცხრაფეხა



რეაფეხა

ზღვის ბინადარნი. ამათგან განთქმულია სარეწაო მნიშვნელობის მქონე თართი, თეთრთევზა, ორაგული, სხვადასხვა სახის ქაშაყი, ნაფოტა, კაპარჭინა, კობრი და მრავალი სხვა თევზი. არსად იმდენ თევზს არ იჭერენ, როგორც კასპიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. თევზის სიმდიდრესთან ერთად აქ არის სარეწაო მნიშვნელობის მქონე სელაპები.

სრულიად სხვა სახე აქვს შავი ზღვის ცხოველთა სამყაროს. დაახლოებით ერთი მილიონი წლის წინათ ბოსფორის რაიონში მოხდა ხმელეთის დაწევა. ხმელთაშუა ზღვის მარილიანი წყალი შემოიჭრა შავ ზღვაში. შემოიჭრილმა მარილიანმა წყალმა დაღუპა შავ ზღვაში მყოფი მტკნარი წყლის ცხოველები. სამაგიეროდ აქ მას შემოჰყვა ხმელთაშუა ზღვის ბევრი ბინადარი — სკომბერები, კეფალები, კამბალები და სხვა თევზები.

ცოცხალი არსებით მდიდარია შავი ზღვის მხოლოდ ზედა ფენები, ზღვის სიღრმეში კი არც ერთი ცოცხალი არსება არ ცხოვრობს. ზღვის ღრმა ფენებში წყალი გაქლენთილია მომწამლავი გაზით — გოგირდწყალბადით.

ჩვენ ვიცით, რომ შორეულ წარსულში, როდესაც ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში შემოიჭრა მარილიანი წყალი, ამ წყალმა დაღუპა შავი ზღვის ბინადარნი. დაღუპულ ცხოველთა ლობის შედეგად ღრმა ფენებში გაჩნდა გოგირდოვანი ბაქტერიები, გოგირდოვანმა ბაქტერიებმა კი წარმოქმნეს მომწამლავი გაზი — გოგირდწყალბადი.

# რას ნიშნავს სიტყვა „გრამატიკა“?



საქართველოს  
საბავშვო  
საბავშვო

უსიტყვებოდ ენის არსებობა შეუძლებელია. მაგრამ ლაპარაკისათვის მარტო სიტყვები არ არის საკმარისი. მაგალითად, გვაქვს სიტყვები: „ენა, მიიღო, კლასი, მესამე, მოსწავლე, ქართული, ნიშანი, კარგი“. ამ სიტყვებით ჩვენ ვერაფერს გავიგებთ, მაგრამ თუ ვიტყვით: „მესამე კლასის მოსწავლემ ქართულ ენაში კარგი ნიშანი მიიღო“, აქ ჩვენთვის ყველაფერი გასაგებია, მიუხედავად იმისა, რომ პირველ შემთხვევაშიც და მეორეშიც ერთი და იგივე სიტყვები ვიხმარეთ.

ლიდმა სტალინმა სიტყვების მნიშვნელობა ენაში შეადარა სამშენებლო მასალას. სამშენებლო მასალის გარეშე შეუძლებელია შენობის აგება. მაგრამ როცა აგური გროვად არის დაწყობილი, არ იქნება შენობა. იმისათვის, რომ შენობა აშენდეს, საჭიროა აგურების შეერთება გარკვეული გეგმის მიხედვით, საჭიროა სამშენებლო ტექნიკის ცოდნა. ზემოთ მოყვანილი სიტყვების მაგალითი იგივეა, რაც აგურის გროვა, ის არის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია მეტყველებისათვის, მაგრამ ეს ჯერ არ არის მეტყველება, არც წინადადება, რომლის საშუალებითაც გამოიხატება აზრი. მეორე მაგალითიც იგივე სიტყვებია, მხოლოდ შეერთებულია ერთმანეთთან გარკვეული წესის მიხედვით, რომელიც არსებობს ქართულ ენაში. ეს არის წინადადება, რომლის აზრი ჩვენთვის სავსებით გასაგებია.

იმისათვის, რომ სიტყვებისაგან შეგვედგინა წინადადება, ჩვენ გამოვიყენებთ კანონი ქართული ენისა, გადავანაცვლებთ სიტყვები განსაზღვრული წესის მიხედვით. ეს არსებული წესები სიტყვების დალაგებისა, მათი შეერთება-შეკავშირებისა შეადგენს ენის გრამატიკულ წყობას.

გრამატიკა არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ენის აგებულებას, სიტყვათა ბუნებას, მათ შეცვლას, ურთიერთდამოკიდებულებას. ეს მეცნიერება ხსნის და ადგენს კანონებს, რომლებიც არსებობს ამა თუ იმ ენაში; ადგენს, რა და რა მეტყველების ნაწილები არსებობს ენაში, ადარებს რა წინა-

დადებებს ერთმანეთს, ადგენს, როგორი შეიძლება იყოს წინადადება: რთული, მარტივი, გავრცობილი თუ სხვა. ეს მეცნიერება ისწავლება სკოლებში ქართული ენის, რუსული ენისა და უცხო ენების გაკვეთილებზე.

გრამატიკის შესწავლას დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. ის საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა წესებია ენაში. თეორიული ცოდნის შეძენის შემდეგ ადვილად შეგვიძლია გადავწყვიტოთ მართლწერის, მართლმეტყველების საკითხები.

მეცნიერება გრამატიკა წარმოიქმნა ძველ საბერძნეთში და სახელწოდება მიიღო ბერძნული სიტყვისაგან „გრამა“, რაც ბერძნულად ასოს ნიშნავს. აქედან გასაგებია, თუ რისთვის უწოდებდნენ ძველ რუსეთში წერილობით დოკუმენტს „გრამოტას“. „გრამოტას“ უწოდებდნენ აგრეთვე წერა-კითხვის ცოდნას. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს რუსულად „გრამოტინ“ ჰქვია.

გრამატიკის გარეშე, ე. ი. ენის მეცნიერების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ლიტერატურული ენის წარმოება. იმისათვის, რომ კარგი ხიდები და შენობები ავაგოთ, საჭიროა მექანიკა-ტექნიკის კანონების ცოდნა. ასევე, რომ კარგად დავეუფლოთ ლიტერატურულ ენას, განსაკუთრებით მართლწერას, საჭიროა ენის კანონების ცოდნა. გრამატიკის შესწავლას, გარდა ამ პრაქტიკული მნიშვნელობისა, სხვა მნიშვნელობაც აქვს. ენა უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან.

როდესაც მშობლიური ან რუსული ენის წესებს დავეუფლებით, უცხო ენების კანონების შესწავლაც ადვილი გახდება.

მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი ბავშვობიდანვე შეუგნებლად სარგებლობს ენის გრამატიკის კანონით, გრამატიკის აგებულებით. სკოლაში კი ენის კანონები ჩვენში შედის შეგნებულად. გრამატიკის საშუალებით ვსწავლობთ სწორ მართლწერას და სწორ, გამართულ მეტყველებას.

პ. გუგუშვილი

# მიჩურინის სამუშაო ქალაქი



ი. მიჩურინი

ქალაქ მიჩურინსკის შესახებ, რომელსაც წინათ კოზლოვს უწოდებდნენ, ჯერ კიდევ ბავშვობაში გამიგონია. წლების განმავლობაში ეს შესანიშნავი ქალაქი ჩემებურად მქონდა წარმოდგენილი და მის ნახვაზე ვოცნებობდი. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩემი ოცნება განხორციელდა და მიჩურინსკს ვესტუმრე. მიჩურინსკის ღირსშესანიშნავმა ადგილებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

ამ ქალაქში გაღრმავდა და განვითარდა მეცნიერება ცოცხალი ბუნების შესახებ. აქ ჩაეყარა საფუძველი ცოცხალ არსებათა გარდაქმნისა და გაუმჯობესების საქმეს. ამით არის გამოწვეული, რომ ამჟამად ამ ქალაქს მუდმივი სტუმრიანობა ახასიათებს. ჩვენი დიდი სამუშაოს ყველა კუთხიდან მოდიან აქ მუშები და გლეხები, მეცნიერები და მკვლევარები, მოსწავლეები და მასწავლებლები... მოდიან აქ იმიტომ, რომ უშუალოდ გაეცნონ იმ ადგილებს, სადაც ათეული წლების განმავლობაში ბუნების დიდ გარდამქმნელს ი. მიჩურინს მცენარეთა ახალ-ახალი ჯიშები გამოყავდა.

ქ. მიჩურინსკში პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთით, პატარა მდინარე „ლესნოი ვორანეჟის“ ნაპირზე. აქ არის ძირითადი ბაღი-სანერგე, რომელიც გაშენებულია 1900 წელს ი. მიჩურინის მიერ და სადაც ის გარდაცვალებამდე (1935 წლამდე) მოღვაწეობდა.

თვალწარმტაცი ხეივნის შემდეგ ვხედავთ პატარა ორსართულიან სახლს. ამ სახლში ცხოვრობდა და მუშაობდა ი. მიჩურინი. პირველ სართულში მოთავსებულია სარდაფი, მეორე სართულში საცხოვრებელი ბინა ყოფილა, რომელიც ამჟამად მუზეუმს წარმოადგენს. მოზრდილ ოთახში, სადაც წინათ ი. მიჩურინის სამუშაო ლაბორატორია ყოფილა, ამჟამად მოთავსებულია დიდი მეცნიერის პირადი ბიბლიოთეკა, მისი ნაბეჭდი ნაშრომები და ხელნაწერები. აქვე კარადაში ინახებოდა ამხანაგ ი. სტალინის მოსალოცი დეპეშა, რომელიც ი. მიჩურინმა მიიღო თავისი მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს დღეს. აქვე აწყვია ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენები, საპატიო სიგელები, რომლებითაც ი. მიჩურინი დააჯილდოვა საბჭოთა ხელისუფლებამ თვალსაჩინო მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.



ამ სახლში ცხოვრობდა და მუშაობდა ი. მიჩურინი

მეორე ოთახში, რომელიც ი. მიჩურინის სამუშაო კაბინეტი ყოფილა, ამჟამად მოთავსებულია სამუშაო მაგიდა, მიჩურინის მიერ გაკეთებული სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები. აქვე დგას საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მ. კალინინის ხელით გაკეთებული იშვიათი ჩუქურთმებზანი კარადა, რომელიც მ. კალინინმა საჩუქრად მი-

უძღვნა ი. მიხურინს შემდეგი წარწერით:  
„მცენარეთა ახალი სახეობის დიდ ოსტატს  
ი. ვ. მიხურინს. 1933 წ.“

მ. ი. კალინინი“.

მესამე ოთახი საძინებელი ყოფილა. ამჟამად ამ ოთახში მოთავსებულია ი. მიხურინის საოჯახო ნივთები და ტახსაცმელი, რომლებიც მნახველის ყურადღებას იქცევენ თავისი სისადავით.

სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გავდივართ იშვიათ წალკოტში — ბაღსა და სანერგეში. აქ ახსნა-განმარტებას გვაძლევს ი. მიხურინის ყოფილი მოწაფე, აკადემიკოსი პ. იაკოვლევი. იგი განაგებს ი. მიხურინის ყოფილ პატარა ნაკვეთს და მის ახლოსმდებარე უზარმაზარ ახლად გაშენებულ ბაღს. მას მივყავართ ცალკე ხეებთან და ბუჩქებთან, დაწვრილებით გვიამბობს, თუ რა ცდა-დაკვირვებებს ახდენდა მათზე ი. მიხურინი და როგორ შედეგებს ღებულობდა. აქ თითოეული მცენარე ისტორიული მნიშვნელობისა და ყველა ჩვენგანი დიდი მოწიწებით შესტკეერის მას.

ბაღისა და სანერგის დათვალიერების შემდეგ მივდივართ ი. მიხურინის ძეგლთან, რომელიც აგებულია ამ რამდენიმე წლის წინათ.

ღრმა პატივისცემის გრძნობით დავმორდით ი. მიხურინის სახელოვან თანამშრომლებს და ქალაქის მეორე მხარეს ცენტრალური გენეტიკის ლაბორატორიისაკენ გავემგზავრეთ. ლაბორატორია ქალაქიდან ექვსი კილომეტრითაა დაშორებული. იგი დაარსებულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. მის ირგვლივ გაშენებულია რამდენიმე ასეული ჰექტარი ბაღი. გენეტიკის ლაბორატორიისა და ბაღში დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარმოებს.

ცენტრალური გენეტიკის ლაბორატორიის მახლობლად მოთავსებულია მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტი. ინსტიტუტს 450 ჰექტარზე გაშენებული აქვს საუცხოო საცდელ-საჩვენებელი ბაღი. ორივე დაწესებულება ყოველმხრივ დახმარებას უწევს საკავშირო მასშტაბით სამეცნიერო დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს და საბჭოთა მურერნეობებს მებაღეობის განვითარების საქმეში.

აქ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენენ როგორც მიხურინის მიერ გამოყვანილი ძველი ჯიშები, ისე მის მიმდევართა მიერ მიღებული მცენარეთა ახალი სახეობები.

ქალაქ მიხურინსკის ცენტრში მოთავსებულია მეხილეობისა და მებოსტნეობის სას-

წავლო ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს აგრონომებს ძთელი საბჭოთა კავშირისათვის. ეს ინსტიტუტი დაარსებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, ი. მიხურინის უშუალო მონაწილეობით. ინსტიტუტის ახლოს, კულტურისა და დასვენების საუცხოო პარკში, მოთავსებულია ი. მიხურინის საფლავი.


ქალაქს ამკობს საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული იშვიათი შენობები: რკინიგზის სადგური, თეატრი, კინოთეატრი და ძრავალი სხვა.

მეფის მთავრობის დროს ქალაქი კოზლოვი წარმოადგენდა რუსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ და მივიწყებულ ქალაქს. აქ 42 წლის განმავლობაში წარმოუდგენელ სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობდა და მუშაობდა დიდი მეცნიერი ივანე ვლადიმერის ძე მიხურინი. მისი მუშაობით ერთხელაც არ დაინტერესებულა მეფის მთავრობა, არავითარი დანხარება მისთვის არ გაუწევია, დახმარების მაგიერ ხშირად ხელსაც უშლიდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ეს ქალაქი სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. საბჭოთა ხელისუფლების და პირადად ხალხთა დიდი ბელადების ვ. ლენინისა და ი. სტალინის მზრუნველობითა და დახმარებით ი. მიხურინის მუშაობა უდიდესი აღმავლობით წავიდა წინ. კოზლოვს მიხურინის პატივსაცემად მიხურინსკი ეწოდა და იგი მიხურინული მეცნიერების კერად გადაიქცა.

## შალვა ჩხონიძე

დამსახურებული მასწავლებელი



შესასვლელი მიხურინის ბაღსა და სანერგეში



ვიეწყებთ იმ ცხრა წლის კორეელ მშვიდობის მომელსაც გასული წლის ოთხ ოქტომბერს ხელი მოკვეთეს იმისათვის, რომ ის რესპუბლიკის აღმით მიესალმა კორეის სახალხო არმიას. მშვიდობისმოყვარე ხალხები შურს იძიებენ კორეელი ბიჭუნას სისხლისათვის!

გიორგის შემდეგ ვახუშტიმ მიმართა სტუმრებს საკუთარი ლექსით.

კორეელ სტუმრებს შორის იყო ცნობილი კორეელი ქალი პაკ დენ აი, მშვიდობის საერთაშორისო საბჭოს წევრი, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის თავმჯდომარე, მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი.

პაკ დენ აი—ფერმკრთალი, პატარა ტანის ქალი, რომელიც მუდმივ მღიმიარ და ალერსიანი თვალებით შემოგვცქეროდა, ააღეღა ჩვენმა გულთბილმა დახვედრამ.

— მძიმე, ძალიან მძიმეა კორეელი ბავშვების ცხოვრება დღეს, — დაიწყო პაკ დენ აიმ თავისი საპასუხო სიტყვა, — ამერიკელმა დამპყრობლებმა თავს მოგვახვიეს სისხლისმღვრელი ომი. მათ ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ბავშვების დამონება განიზრახეს, მაგრამ კორეელი ხალხი ადღა თავისუფალი სამშობლოს დასაცავად. ახლა ჩვენთან ყველა და ყველაფერი სამშობლოს დაცვას ემსახურება. ჩვენი ბავშვები თქვენ მსგავსად არ დადიან სკოლაში, რადგან სკოლები დროებით დახურულია. მაგრამ კორეელი პატარა პატრიოტები უქმად როდი არიან. ისინი ეხმარებიან სახალხო არმიას მტრის განადგურებაში.

პაკ დენ აიმ მოიყვანა ამის რამდენიმე საინტერესო მაგალითი.

— კორეელ ხალხს სწამს, რომ მალე გამარჯვებს და ეს გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, ბედნიერებას მოუტანს ჩვენს ბავშვებს, — თქვა დასასრულ პაკ დენ აიმ. — მაშინ კვლავ ახმინდება ჩვენი სკოლები, აშენდება პიონერთა სასახლეები და დაიწყება მისთვის ისეთივე საამური ცხოვრება, როგორც თქვენ, საბჭოთა ბავშვებს, გაქვთ!

პაკ დენ აის სიტყვები ჩვენმა ტამმა დაფარა.

— პიონერული საღამო კორეელ პატარა მეგობრებს!

— გაუმარჯოს გმირ კორეელ ხალხს და მის მეთაურს კიმ ირ სენს!

— დიდხანს ცოცხოვდეს მშვიდობის მედროზე — მშობლიური დიდი სტალინი! — გაისმოდა პიონერთა შეძახილები.

უკანასკნელი ზარიც დაირეკა. პიონერ-ხელმძღვანელმა მწკრივში დაგვაწყო.

მალე პიონერთა სასახლეში მივედი. აქ უჩვეულო ფუსფუსი იყო. კაბინეტები და დარბაზი სავსე იყო ბავშვებით. ისინი სტუმრების შესახვედრად ემზადებოდნენ.

— სტუმრები მოვიდნენ, სტუმრები! — გაისმა ხმა. განიერ კიბეზე კორეელთა დელეგაცია გამოჩნდა. რა მოსიყვარული თვალებით შემოგვცქეროდნენ შორეული სტუმრები! მალე ისინი შეუდგნენ კაბინეტების, სახელოსნოებისა და დარბაზების, სასპორტო მოედნის, მშენიერი ბაღის დათვალიერებას. განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა მათში ბავშვების მრავალფეროვანი ნამუშევრები: მაკეტები, მოდელები, ნახატები, ნაქარგები, კედლის გაზეთები, ალბომები.

სასახლის დათვალიერება დამთავრდა. პიონერები ერთ-ერთ დარბაზში შეგკრიბეს სტუმრებთან გამოსამშვიდობებლად. აქ უნდა გადაგვეცა მათთვის ჩვენი მცირე, მაგრამ სიყვარულით დამზადებული საჩუქრები. ყველანი ველავდით, განსაკუთრებით კი პატარა გიორგი, რომელსაც დააკისრეს ჩვენი სახელით წარმოეთქვა სიტყვა.

— ძვირფასო სტუმრებო, — დაიწყო გიორგიმ, — გთხოვთ გადასცეთ კორეელ ბავშვებს მზიური საქართველოს პიონერების მხურვალე საღამო! ჩვენ ვიცით, გვჯერა და გწამს, რომ შორს არ არის კორეელი ხალხის საბოლოო გამარჯვების დღე. ჩვენ არასოდეს და-



**მ ო ლ გ ა**

ვოლგა ყველაზე დიდი მდინარეა ევროპაში და ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოს მდინარეთა შორის. მისი სიგრძე 3750 კილომეტრია. ვოლგის აუზს უჭირავს 1,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი. ეს შეადგენს სსრკ-ის ევროპული ნაწილის 1/3-ს. ვოლგას 800 შენაკადი აქვს. მის ნაპირებზე მდებარეობს 30-ზე მეტი დიდი ქალაქი. ვოლგის წყლის ვარდნის საერთო სიმაღლე 254 მეტრს შეადგენს. ყოველი ლიტრი წყალი, რომელიც ეცემა ასეთი სიმაღლიდან, შეიცავს 2,5 კილოვატის ძალას, ვოლგას კი ყოველწლიურად მიაქვს ზღვაში 250 მილიარდზე მეტი კუბმეტრი წყალი, ანუ 10 ათასი კუბმეტრი წამში.

**აი საიდან დაიჭმათ**

სიტყვები ევროპა, აზია და აფრიკა ფინიკიური წარმოშობისაა. ფინიკელები ცხოვრობდნენ 2000 წლის წინათ ჩვენს ერამდე ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადაც ახლა სირია და პალესტინაა. ქვეყნის ნაწილს, მდებარის მათგან დასავლეთით, მათ შეარქვეს „ერებ“, რაც ერთსა და იმავე დროს ნიშნავდა „დასავლეთისა“ და „სიბნელისა“. ბერძნებმა უფრო გვიან სიტყვა „ერებ“ გადააკეთეს „ევროპად“.

„ასსი“ ფინიკიურ ენაზე ნიშნავს „აღმოსავლეთისა“ და „სინათლისა“. ხმელთაშუა ზღვის მიმართ ქვეყნის ეს ნაწილი — აზია — აღმოსავლეთით მდებარეობს.

ფინიკიელთა კოლონიის მეზობლად აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირზე ცხოვრობდნენ მომთბარე ხალხები — „აფრიცები“. ფინიკელებმა ამ ქვეყანას „აფრიცების ქვეყანა“ უწოდეს. უფრო გვიან რომაელებმა გადააკეთეს ეს სახელწოდება „აფრიკად“.

ამერიკა ამ ქვეყანას ეწოდება იტალიელი ამერიკო ვესპუჩის სახელით, რომელმაც არა ერთხელ

ინახულა და გამოირკვია ეს მატერიკი.

ავსტრალია ჰოლანდიელებმა აღმოაჩინეს და იგი წოდებულია ახალ ჰოლანდიად. უფრო გვიან მას დაარქვეს „ავსტრალია (ლათინურ „აუსტრალიისაგან“, რაც „სამხრეთს“ ნიშნავს).

ანტარქტიკა — ქვეყნის ნაწილია, მდებარე ანტარქტიკულ ოლქში სამხრეთ პოლუსის ირგვლივ. სიტყვა „ანტარქტიკული“ ნიშნავს არქტიკის მოპირდაპირე მდებარეს.

**კოლორადოს ხოჭო**

კოლორადოს დედალი ხოჭო ზაფხულის განმავლობაში 32 მილიონ კვერცხს დებს. ერთი ხოჭოს მოდგმას შეუძლია გაანადგუროს კარტოფილი ორნახევარ ჰექტარ ფართობზე. გარდა კარტოფილისა, ეს ხოჭო ქამს ბომიდორს, თამბაქოს, კომბოსტოს და მრავალ სხვა მცენარეს. ხოჭოს შემჩნევა იოლია. იგი ოვალისებური ფომრისაა, დაახლოებით 1 სანტიმეტრს სიგრისა. მის მოყვითალო ზურგზე ათი ზოლია. ქვედა ფრთები ვარდისფერია. ჭუპრი მოწითალო ან მოყვითალოა.



კოლორადოს ხოჭო გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში. იმის დროს ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩამოიტესეს ეს მავნებელი პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთში, უნგრეთში. კოლორადოს ხოჭო შეიძლება ჩამოიტესილიყო ჩვენს ტერიტორიაზეც. ამიტომაც ფხიზლად ადევნეთ თვალყურს ნათესებს. ამ მავნებლის გამოჩენისთანავე დაუყოვნებლივ აცნობეთ აგრონომს და მოაწყეთ ბრძოლა მოსავლის დასაცავად. ამ მავნებლის წინააღ-

მდეგ იბრძვიან ქიმიური პრეპარატების საშუალებით. შეიძლება აგრეთვე ხოჭოებისა და მათი ჭუპრების ხელით შეგროვება და მოსპობა.

**დაიხსომა...**

რომ შეიძლება უსაწონოდ აწონა და უმასშტაბოდ გაზომვა ზოგიერთი საგნისა ცნობილი ზომის საშუალებით. ასე, მაგალითად, ასანთის ყუთის სიგრძე უდრის 5.5,2 სანტიმეტრს, სიგანე — 3.5-3.8 სანტიმეტრს, სისქე — 1.5-1.7 სანტიმეტრს; შაურიანის დიამეტრი უდრის 2.5 სანტიმეტრს; 4 შაურიანი, რიგში დაწყობილი, იკავებს 10 სანტიმეტრ სიგრძეს; შაურიანის წონა უდრის 5 გრამს, ხოლო სამკაპიკიანისა 3 გრამს.

მოცულობის გაზომვა შეიძლება ქიქისა და კოვზის საშუალებით: თლილი ქიქის მოცულობა უდრის 200 კუბურ სანტიმეტრს, ჩაის კოვზი იტევს 3-4 კუბურ სანტიმეტრს, ე. ი. 3-4 გრამ წყალს, სუფრის კოვზი — 12-15 კუბურ სანტიმეტრს.

**ზოგი რამ ცის მნათობზე**

მზე თავისი მოცულობით მილიონზე მეტჯერ აღემატება დედამიწის სიდიდეს, ხოლო თუ ის მაინც პატარად მოჩანს, ამის მიზეზია ის დიდი მანძილი, რაც მზეს დედამიწისაგან აშორებს. ეს მანძილი, მრგვალი ციფრით რომ ავიღოთ, 150 მილიონ კილომეტრს უდრის. ამ მანძილის გავლა მატარებელს მხოლოდ 200 წლის განმავლობაში თუ შეეძლო.

ჩვენთან ყველაზე ახლომყოფი ვარსკვლავი ასობით ათასჯერ უფრო დაშორებულია დედამიწას, ვიდრე მზე.

ვარსკვლავთა სისტემაში, ანუ გალაქტიკაში, 150 მილიარდამდე ცალკეული ვარსკვლავი შედის, ხოლო ჩვენი მზე გალაქტიკაში შემავალი ერთი ამ ვარსკვლავთაგანია — მზე რიგითი ვარსკვლავია.



# ქალაქის ისტორია

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი

### ამოცანა

კოლექტივმა დააყენა მარცვლეულის ხეები: გარჩეული ხორბლის, ქერის, სიმინდის და ჭვავის. ყველა ერთად გამოვიდა ას ოთხმოცი ტონა. სიმინდი და ჭვავი უდრის ხორბალ-ქერის წონას; ქერი ჭვავით — ხორბალ-ქერის იყო ნახევარი, ხოლო ჭვავი წონით ქერზე ორჯერ მეტი არის. ცალკე ქერის, ჭვავის, ხორბლის და სიმინდის წონას თუ ამოხსნი, — გააკეთებ საქმეს მოსაწონარს.

დ. ქიქაძემ



### პასუხები

„პიონერის“ № 8-ში მოთავსებულ გასართობი

ქალაქის ცხენის სვლით: ალექსანდრე შან-შიაშვილი, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ აბაშიძე, ილო მოსაშვილი, ალექსანდრე ქვიციანიძე.

6	1	34	11	14	9
33	20	5	8	35	12
4	7	2	13	10	15
21	32	19	28	25	36
18	3	30	23	16	27
31	22	17	26	29	24



ამოცანაზე: დას დარჩენია 7 მანეთი, ძმას კი 2 მანეთი.

ქალაქი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის დასაწყისში გამოიკვლიეს. მის გამოკვლევებლად თვლიან ჩინეთის მსხვილ სახელმწიფო მოხელეს, იმპერატორის სასახლის ზედამხედველს ცაი ლუნს.

ქალაქის გამოკვლევამდე ჩინელები აბრეშუმის ნაჭერზე წერდნენ.

ჩინელებმა მეტად მაღალი შეფასება მისცეს ცაი ლუნის გამოკვლევას. მათ ცაი ლუნს ახალი სპეციალობის — ქალაქის წარმოების — ღმერთის სახელი მიაკუთვნეს. ცაი ლუნის სახელის აღსანიშნავად ჩინეთში აიგო ტაძრები, სადაც ჩინეთის მბეჭდავები და მექალაქეები ყოველ წელს საკმევლს უკმევდნენ თავიანთი პროფესიის ღმერთის გამოსახულებას.

ჩინეთში ქალაქს თუთის ხის ხრალისაგან და ნორჩი ლერწმისაგან აკეთებდნენ. ხრალს წყალში ასველებდნენ, ხანდახან სოდის ხსნარში ხარშავდნენ და შემდეგ ხის ჩაქუჩებით ცალკეულ ბოჭკოებად შლიდნენ. წყალში გახსნილი ბოჭკოვანი მასით ამოავსებდნენ ოთხკუთხედ ბადეს, რომელსაც ჰაერში არხევდნენ, რომ წყალი ნასვრეტებიდან გამოეონილიყო. ბადის ზედაპირზე რჩებოდა ქალაქის სველი ფურცელი. ამ ფურცელს დაწნებავდნენ და გასაშრობად ფენდნენ.

ჩინური ქალაქი მეტად მსუბუქი და თხელი იყო, ამიტომ მასზე მხოლოდ ცალი მხრიდან წერდნენ და ბეჭდავდნენ.

ჩინეთიდან ქალაქი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, ის ჯერ აღმოსავლეთ თურქესტანში გამოჩნდა, იქიდან არაბებთან, შემდეგ ესპანეთში, ესპანეთიდან კი ევროპის სხვა ქვეყნებსაც მოედო.

ევროპაში ქალაქი XII-XIII საუკუნეში გავრცელდა, ჩინეთში მისი აღმოჩენის ათასი წლის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ შუა აზიის ქვეყნები ქალაქს ხმარობდნენ და ამზადებდნენ რამდენიმე ასეული წლის წინათ, ვიდრე ის დასავლეთ ევროპაში გამოჩნდებოდა. მაგალითად, დიდი ხანი არ არის, რაც ტაჯიკეთში იპოვეს მერვე საუკუნის არქივი, სადაც მრავალი დოკუმენტი იყო დაწერილი ქალაქზე.



ქალაქის პირველი ფაბრიკა რუსეთში აშენდა მოსკოვის ახლოს, სოფელ ვანტეევკაში, XVI საუკუნეში. ევროპაში ქალაქს ჩერებისაგან ამზადებდნენ. დამზადების ტექნოლოგია ისეთივე იყო, როგორც ჩინეთში. მხოლოდ ძირითად მანქანად აქ გამოყენებული იყო წყლის წისქვილი, რის გამოც

ქალაქის ფაბრიკებს ქალაქის წისქვილებს უწოდებდნენ. ქალაქის მრეწველობაში ტექნოლოგიური უმჯობესება უფრო გვიან მოხდა. რუსეთში ქალაქის მანქანა 1817 წელს შემოიღეს, გერმანიაში — 1819 წ., ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 1825 წელს.

ა. ჩომახიძე

## ახალი საბაღო

ბუნების შესანიშნავმა მცოდნემ, გეოლოგიური ძიების ენთუზიასტმა მუშა სიმონ ჯანელიძემ წყალტუბოს რაიონში აღმოაჩინა მინერალური საღებავების — მუმიის, ოხრას და სურისის — მდიდარი საბადოები. ამ საბადოების დამუშავებას ახლა წარმატებით ეწევიან რაიონის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. უკვე ამოღებულია ასობით ტონა მინერალური საღებავები.

წყალტუბოში ერთ-ერთი უდიდესი სამშენებლო ობიექტის — სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სანატორიუმის — მშენებლებს მან უჩვენა სამშენებლო ქვის, კირის და სხვა სამშენებლო მასალის ახალი საბადოების ადგილსამყოფელი.

თავისი გამოცდილებით, წყალტუბოს რაიონის წილის სიმდიდრის კარგი ცოდნით სიმონ ჯანელიძე დიდ დახმარებას უწევს მშენებლებს, რომლებიც წყალტუბოს კურორტზე აგებენ ახალი სანატორიუმების შენობებს.

სიმონ ჯანელიძესთან ერთად გეოლოგიურ ძიებას ენერგიულად ეწევიან მისი შვილი ჩაჩუ ჯანელიძე და მუშები შოთა გიორგელიძე და ოთარ ჩიხლაძე.

სოფ. მელაურსა და ზომულში გეოლოგიური ძიების ენთუზიასტებმა აღმოაჩინეს მარმარილოს საბადო. რაისამრეწველო კომბინატი უკვე შეუდგა მარმარილოს საბადოს დამუშავებას.

მ. მახათაძე

## მინაარსი

გისურვებთ, ბავშვებო, სწავლაში წარჩინებას (წერილი)	83	მ. კეიშივილი — საიდუმლოება (მოთხრობა)	83
ბ. ბერულავა — გამარჯვება, ჩემო სკოლავე! (ლექსი)	1	ნ. ზოდელავა-ჩხეიძე — ა. მაკარენკო (წერილი)	22
მ. კეკელიძე — შეხვედრა (მოთხრობა)	2	ა. ჯაფარიძე — საფუტკრეში (ლექსი)	23
გ. ჯაბუშანური — ჩემი ოცნება (ლექსი)	3	რ. ბარათელი — ჩვენი სამშობლოს ზღვების სიმდიდრე	24
ო. შალამბერიძე — ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში (ლექსი)	6	ი. გიგეშიძე — რას ნიშნავს სიტყვა „გრამატიკა“	26
მჩქეფარე პიონერული მუშაობისათვის	7	შ. ჩუბინიძე — მიჩურინის სამშობლო ქალაქში (ნარკვევი)	27
შ. ამისულაშვილი — მთიელი ბიჭი (ლექსი)	9	ე. აგლაძე — რა გვიამბო პაკ დენ აიმ (ნარკვევი)	29
მ. დემეტრაძე — ახალგაზრდობის ფესტივალი ბერლინში (წერილი)	10	ცნობის მოყვარეთა კუთხე	30
ბ. ჩხეიძე — ძმები (მოთხრობა)	11	გასართობი	31
კ. კვარაცხელია — ბავშვთა ორგანიზაციები დემოკრატიულ ქვეყნებში (წერილი)	12	ქალაქის ისტორია	31
ვ. სტეფანიკი — ბავშვის მწუხარება (ნოველა. თარგმანი ვ. თორდელუასი)	14	ჩვენი კალენდარი — გარეკანის მე-3 გვ. გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა „სკოლისაკენ“ შესრულებულია მხატვარ ა. გიგოლაშვილი მიერ.	
მ. დავითაშვილი — ერთი სოფელი ორ სახელმწიფოში (ნარკვევი)	16	გარეკანის მეოთხე გვერდის მხატვრობა „დაბრუნდნენ“ — ეკუთვნის მხატვარ ა. ბანძელაძეს.	
	18		

ბედაცდობი ბ. კ ა მ ა ხ ი ძ ე. საბედაცდომ კოლოგია: მ. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, მ. მარდიანოვილი, ბ. თაყვიშვილი, გარეკანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. ზნებელია. სასწავლო მდივანი მ. თორდელუა. სასწავლო ბედაცდობი ბ. ვოცნიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელ. 3-81-85

შე 03259 ტირაჟი 15.000 გამომცემლობის შეკვ. № 358 სკამბის შეკვ. № 965  
 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნსტი“, ლენინის ქ. № 14  
 იურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოცვტ. მანქანაზე.





# ჩვენი კალენდარი



## იპპონის დამარცხება

ექვსი წლის წინათ, 1945 წლის 2 სექტემბერს, ჰიტლერული გერმანიის მოკავშირემ, საბჭოთა არმიის მიერ დამარცხებულმა იპპონიამ უსიტყუო კაპიტულაციაზე მოაწერა ხელი.

იმპერიალისტური იაპონია ჩვენი ქვეყნის ძველი მტერია, იგი მუდამ მიისწრაფოდა თავისი საზღვრები გადმოეწია ურალის ქედამდე და უფრო აქეთ — კასპის ზღვამდე. ამ მხრივ ზოგიერთი მისი ცდა წარსულში იმით დაგვირგვინდა, რომ მეფის რუსეთს წაართვა სახალისის სამხრეთი ნახევარი, პორტ-არტურის და ქალაქი დალნი. იაპონიამ შესძლო აგრეთვე გამაგრებულიყო მასინ კურილის კუნძულებზე და რუსეთისათვის გზა მოეპარა წუნარი ოკეანესაკენ.

1918-1922 წლებში იმპერიალისტურმა იაპონიამ მოახდინა საბჭოთა პრიმორიეს მძარცველური ოკუპაცია. იაპონელმა ინტერვენტებმა ცეცხლში დაწვეს სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ლაშო. უფრო გვიან — 1938 და 1939 წლებში — იაპონელებმა კვლავ სცადეს შემოეტიათ საბჭოთა ქვეყნისათვის, მაგრამ გამირულმა საბჭოთა არმიამ ისინი განადგურა ხალხინგოლსა და ხანის ტბასთან.

1941 წელს კი იაპონიამ სამხედრო კავშირი შეკრა ჰიტლერულ გერმანიასა და მუსოლინის იტალიასთან. ასე შეიქმნა ე. წ.

გერმანია-იაპონია-იტალიის ღერძი. ეს ფაშისტური სახელმწიფოები შეეცადნენ ჩვენი სამშობლოს დამონებას, მაგრამ ეს საწადელი ვერ აისრულეს და სასტიკად იქნენ განადგურებულნი საბჭოთა ხალხისა და მისი გმირული არმიის მიერ დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

აი, როგორი მოსისხლე მტერია იმპერიალისტური იაპონია ჩვენი სამშობლოსი.

1945 წლის 2 სექტემბერს კი იაპონიის იმპერიალიზმის დამარცხებით ბოლო მოეღო ომის ამ საშუალო კერას შორეულ აღმოსავლეთში.

მაგრამ არც ახლა ისვენებს იაპონია. ამერიკელმა იმპერიალისტებმა ახალი ომის პლაცდარმად და თავიანთ კოლონიად გადააქციეს იგი. ამერიკა ცდილობს შეაიარაღოს იაპონია, კვლავ აღადგინოს მისი სამხედრო ძლიერება, რათა კვლავ დაძრას იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. იაპონიაში დამზადებული სამხედრო საჭურვლით ებრძვიან ამერიკელი და ლისინგონელი ყაჩაღები თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს.

იაპონიას სურს დაარღვიოს მშვიდობა, იგი ამერიკის დახმარებით გამაღებთ ემზადება ახალი ომისათვის.

მაგრამ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების ყველა მათი განზრახვა ჩასაფულავდაა განწირული.

მშვიდობის საქმე საიმედო ხელშია, ამ საქმეს დიადი საბჭოთა კავშირი მეთაურობს.

## ტანკისტის დღე

ჩვენი ქვეყანა ტანკის სამშობლოა. მსოფლიოში პირველი ტანკის პროექტი შექმნა ვასილ მენდელეევი — დიდი რუსი მეცნიერი და მენდელეევის შვილია. მუხლუხა და ბორბლებიანი ტანკების პირველი ნიმუშები გამოც-

დილ იქნა 1915 წელს. ეს ნიმუშები რუსი სპეციალისტების მიერაა შექმნილი, თუმცა იმ ხანებში ისინი არ გამოუყენებიათ რუსეთის უნიჭო გენერლებს.

ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების ნამდვილ სამშობლოდ საბჭოთა რუსეთი ითვლება. ასეთი ჯარები 1918 წელს ჩაისახა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ინიციატივით. შემდეგ სულ უფრო და უფრო განვითარდა ტანკების მშენებლობა. ამ საქმეში მთელი საბჭოთა ხალხი იღებდა მონაწილეობას. ომის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სატანკო მრეწველობა საბჭოთა არმიას ყოველწლიურად 30 ათას ტანკს აძლევდა. მრავალი ასეული ტანკი საბჭოთა ადამიანების დანაშოვი და საბჭოთა არმიისათვის საჩუქრად გაგზავნილი თანხით იქნა აგებული. ცნობილი სატანკო რგოლი „პიონერი“, რომელიც პიონერთა მიერ შეგროვილი ფულითაა აგებული, გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა ჰიტლერელებს.




საბჭოთა ტანკისტებმა ჰიტლერულ გერმანიასთან და იმპერიალისტურ იაპონიასთან ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს.

1142 ტანკისტს დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გმირის მალალი წოდება მიენიჭა, 16 მათგანს კი ორგზის გმირობა.

საბჭოთა ტანკები, ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად იცავენ ჩვენს დიად სამშობლოს, ისინი მშვიდობის უძლეველ საქმეს ემსახურებიან.

ყოველწლიურად 9 სექტემბერს აღნიშნავს საბჭოთა ხალხი ტანკისტის დღეს.



4/166

3.17/155



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

